



საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებები სამოქალაქო დავებზე

(2011 – 2016 წლები)

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება

თბილისი

2018



**DEFINITIONS
OF THE SUPREME COURT OF
GEORGIA ON CIVIL CASES**

(2011 – 2016)

**The Supreme Court Of Georgia
National Court Practice Study and Generalization Unit**

Tbilisi

2018

შემდგენლები:

გიორგი ჭყონიძე

სანდრო ჯორჯენაძე

რედაქტორი

სანდრო ჯორჯენაძე

სტილისტ-რედაქტორი

სოფიო მამულაშვილი

ინგლისურ ტექსტზე იმუშავა

ირინა ჯობავაძე

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო 2018

ISBN 978-9941-8-0256-0

The Collection was compiled by

Giorgi Tchkoidze

Sandro Jorbenadze

Editor

Sandro Jorbenadze

Style Editor

Sophio Mamulashvili

English translation was elaborated by

Irina Jobava

Graphics Editor and Design

Marika Maghalashvili

© Supreme Court of Georgia, 2018

ISBN 978-9941-8-0256-0

შემდგენლების განხორციელების გეგმა

საქართველოს უზენაესი სასამართლო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა, რომელიც დადგენილი წესებით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. საკასაციო სასამართლოს როლი მართლმსაჯულების განხორციელებისა და კანონიერების პრინციპების დამკვიდრების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია.

ყოველი გადაწყვეტილების უკან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და უზენაესი სასამართლოს, როგორც ნორმის განმარტების ფუნქციის მატარებელი ინსტანციის მნიშვნელობა დგას.

საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე, ნორმის განმარტებისას სასამართლო არ უნდა გასცდეს კანონის ფარგლებს.

სასამართლოს არ გააჩნია კანონშემოქმედებითი ფუნქცია. სასამართლო ნორმას განმარტავს კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში.

სასამართლო პრაქტიკით მკვიდრდება ნორმათა განმარტებისა და ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2011-2016 წლების წლის პერიოდში გაუქმებული საქმეების ანალიზის საფუძველზე შესწავლილ იქნა ქვედა ინსტანციის სასამართლოების ტიპური შეცდომები, რომელთა განზოგადებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად უზენაესი სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვისას კვლავ ვლინდება დარღვევები, როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური სამართლის ნორმათა არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

წინამდებარე კრებულში შესულია 2011-2016 წლების ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც ქვედა ინსტანციისაგან განსხვავებით, სხვაგვარად განმარტა საკასაციო სასამართლომ ან მიუთითა ნორმის არასწორ გამოყენებაზე.

განმარტებები დალაგებულია თემატურად, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეებს და საბუთების ხარისხის ამაღლებასა და კერძო სამართლით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის უკეთ გაცნობაში.

FROM THE COMPILERS

The Supreme Court of Georgia represents the court of the highest and final court of cassation that ensures administration of justice in common courts system throughout the country, guided by established procedural rules, and performing other duties pursuant to the Constitution of Georgia and Organic Law on Common Courts. The court's role in administration of justice and promotion of the legality principle is very important since it contributes to introduction of unique definitions and establishment of the uniform court practice.

Every decision is based upon uniform court practice and significance of the Supreme Court which functions as the instance interpreting legislative norms.

When interpreting norms, in terms of division of legislative and judicial power, the court should not exceed legislative authority, as the judiciary is restricted by law. The Court does not have a lawmaking function but it rather interprets norms in the framework of legislative objectives and own capacity.

The court practice establishes the practice of norms interpretation and their uniform application.

The Chamber of Civil Cases at the Supreme Court has studied typical mistakes of the lower instance courts based on the analysis of abolished cases in the period of 2011-2016. Generalization of the material has revealed, that despite the established case-law the Cassation Court, the Court of Appeal still displays shortcomings demonstrated through improper application and interpretation of both material and procedural legal norms.

The given collection comprises all the decisions that had been interpreted differently by cassation court as opposed to lower instance court decisions or when the lower instance court had used wrong definition of the norms. The definitions in the collection are organized in the framework of themes that will enhance quality of decision reasoning and introducing uniform court practice of the Supreme Court to any parties concerned.

საკიეპელი

შემოკლებაი	17
მუხლოგრივი საკიეპელი	18

სამოქალაქო კოდექსი

სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებაი	20
1. შესავალი დებულებაი	
კანონის ანალოგია	20
კეთილსინდისიერების პრინციპი	20
2. პირები	
პირადი არაქმნებრივი უფლებაი	20
3. გარიგებაი	
იურიდიული ინტერესი გარიგების გათილად ცნობისას	21
ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა	98
ნების გამოვლენის განმარტება	21; 41
მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებაი	21
გარიგების გათილობა გავლენის ზოროტად გამოყენების გამო	22
მოწვენებითი და თვალთმაქცური გარიგება	22
მოწვენებითი გარიგება	22
თვალთმაქცური გარიგება	23
ფორმის დაუცველად დადებული გარიგება	23
შეცდომითა და მოტყუებით დადებული გარიგებაი	24
გარიგების შედეგების აღრესატი წარმომადგენლობისას	24
საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა	24
4. უფლების განსოცნილება	
უფლების ზოროტად გამოყენების დაუშვებლობა	25; 98
5. ხანდაზმულობა	
ხანდაზმულობის ვადის გავრცელება მოთხოვნასა და უფლებაზე	25; 32
სახელშეკრულეზო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა	25; 32; 42
სახელშეკრულეზო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა; და ხანდაზმულობის ვადის დაწყება	26
ხანდაზმულობის ვადის ათვლა	26
ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა	27
ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით	27
ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით; ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვლა თავიდან	28
ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გავლისას	28
6. სანივთო სამართალი	
6.1 ქონება	
საკუთრების უფლება ნივთის არსებით შემაღბენელ ნაწილზე	29
6.2 მფლობელობა	
მფლობელობის ცნება	29
საცხოვრებელ პინაში პირის რებისტრატია	29
კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა	30

მართლმომიერი მფლობელობის საფუძველი	30
არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის მოვალეობა	30
6.3 საკუთრება	
საკუთრების უფლების შინაარსი;	
უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და	
ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა	31; 92
ვინდოკაციური სარჩელი	32
უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და	
ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა;	
სასარჩელო ხანდაზმულობა	32
უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა	33
ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა	33
საერთო საკუთრება	34; 70; 71
6.4 სამეზობლო სამართალი	
აუცილებელი გზა	34
სასაზღვრო მიჯნის აღმართვის მოვალეობა	34
6.5 საკუთრების შექმნა და დაკარგვა	
უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა გარიგების საფუძველზე	35
შემქმნის ინტერესების დაცვა;	
კეთილსინდისიერი შემქმნის ინტერესების დაცვა	35
კეთილსინდისიერი შემქმნის ინტერესების დაცვა	35
საკუთრების შექმნა უფლებაცხადსა და მოთხოვნებზე	36
6.6 გირავნობა	
გარიგების დადება გირავნობის საბანზე;	
უფლების გორგოთად გამოყენების დაუშვებლობა	36
მფლობელობითი გირავნობის უფლების შეწყვეტა	36
6.7 იპოთეკა	
იპოთეკა	37
უძრავი ნივთის მესაკუთრის უფლება, რომელიც არ არის იპოთეკით	
უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე	37
იპოთეკის გავრცელება ქონების შემადგენელ ნაწილზე	37
7. საჯარო რეესტრი	
საჯარო რეესტრში გარიგების წარდგენის წესი	38
რეესტრის მონაცემთა უზუსტობისა და სინრულის პრეზუმფცია	38
რეესტრის მონაცემთა უზუსტობისა და სინრულის პრეზუმფცია;	
კეთილსინდისიერი შემქმნის ინტერესების დაცვა	39
საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა	39
8. ვალდებულებითი სამართალი	
8.1 ხელშეკრულების დადება	
შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე (წინარე ხელშეკრულება)	40
ხელშეკრულების ფორმა	40
ოფერენტის თანხმობის ვარაუდი;	
ურთიერთგამომრიცხველი და მრავალმნიშვნელოვანი	
გამონათქვამები ხელშეკრულებაში	41
ვალის არსებობის აღიარება	41
8.2 მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება	
მესამე პირის სასარგებლოდ დადებული გარიგების ცნება, განმარტება	42
მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება	43

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლა	
ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები	43
ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები; დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას	44
ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის	44
ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძველი	44
9. ვალდებულების შესრულება	
ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია	45
ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის ბანსაზღვრული ვადის არარსებობისას	45
შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ	45
კრედიტორის უფლება სხვა შესრულების მიღებაზე	46
ვალდებულების შესრულება გვაროვნული ნივთის არსებობისას	46
ვალდებულების გარეშე გადახდილის გამოთხოვის წესი	72
10. ვალდებულების დარღვევა	
მიყენებული ზიანის ანაზღაურება	46
მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის	47
ხელშეკრულების მისაღება შეცვლილი გარემოებებისაღმ უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე	62 44
მოვალის მიერ ვადის გადაცილება	47
დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას	43; 44
11. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა	
პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა	48
ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის	49; 75
ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის	50
12. პირგანსამტეხლო	
პირგანსამტეხლოს დაანგარიშება	51
პირგანსამტეხლოს დაკისრება	51
პირგანსამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ	51
13. ვალდებულების შეწყვეტა	
13.1 ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით	
ვალდებულების შესრულების მიღება	52
13.2 ვალდებულების შეწყვეტა დაპონირებით	54
13.3 ვალდებულების შეწყვეტა ვალის პატივით	54
13.4 ვალდებულების შეწყვეტა მოვალის გარდაცვალების გამო	54
14. სახელშეკრულებო სამართალი	
14.1 ნასყიდობა	
14.1.1 ზოგადი დებულებანი	
ელექტროენერჯის ნასყიდობა	55
საქონლის მიყიდვა რამდენიმე პირისათვის	55
უფლებრივად უნაკლო ნივთი	55
14.1.2 გამოსყიდვა	56
14.2 გაცვლა	
უძრავი ქონების გასხვისების წესი;	
სამკვიდრო ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულების გათილოება	56

14.3 ჩუქება

ქონების უსასყიდლოდ გადაცემა 56
ჩუქების დაუშვებლობა 57
ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო 57
ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო;
გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა 57
გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა 57

14.4 ძირავენობა

გაძირავენებულ ნივთზე განეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება 58
მიმდინარე რემონტის ხარჯები 58

14.5 იჯარა

იჯარის ხელშეკრულების ცნება 59
ზიანის ანაზღაურება სანიჯარო ქონების დაუზრუნებლობისას 59
სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა;
აუცილებელი კაპიტალური ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა 59

14.6 სესხი

ხელშეკრულების ცნება 56; 60
სესხის ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენა 60
პროცენტი სესხისათვის 61

14.7 ნარდობა

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული
შესრულებული სამუშაოს მიღება 61
მიხლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები 62
მიხლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები 62
სამუშაოს ჰირადად შესრულების ვალდებულება 62
ხელშეკრულების მოშლა 63
ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოსათვის
საზღაურის გადახდის ვალდებულება 63
სამუშაოს მიღება 63

14.8 გადაზიდვა-გადაყვანა

გამგზავნის უფლებები 64
ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანა 64

14.9 დავალების ხელშეკრულება 64

14.10 შუამავლობა

შუამავლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება 64

14.11 დაზღვევა

სადაზღვევო შესატანის გადახდა 65
სადაზღვევო ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო შესატანის
არადროულად გადახდის გამო 65
დაზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას 65
ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისგან 66

14.12 საბანკო მომსახურება

ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვადამდე დაზრუნებისათვის 66
ბარანტის მიერ პრინციპალის კრედიტორისათვის (ბენეფიციარისათვის)
ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება 66
ბარანტის უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე 67
ბარანტის ვალდებულების შეწყვეტა 67

14.13 ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება 67
მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა 68
უარი ერთობლივი ამხანაგობის ხელშეკრულებაზე 68
ამხანაგობის კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნამდვილობა 68
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვა;
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მოვალეობები;
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდება;
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრება 69
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების
არსებითი სახეცვლილება 69

14.14 სამისდღეობო რჩენის ხელშეკრულება

ხელშეკრულების ფორმა 70

15. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

15.1 საზიარო უფლებები

პასუხისმგებლობა თანასაკუთრებით
სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთისას 70
წილთა თანაბრობა 70
საზიარო საგნის მართვა 71
საზიარო საგნის განკარგვის წესი 71
საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას 71; 91; 92
საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას;
საზიარო უფლების გაუქმება საგნის გაყიდვით 72

15.2 უსაფუძვლო გამდიდრება

კრედიტორის ვალდებულების შეწყვეტა 72
ვითომ-კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძველები 72
ვითომ-კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძველები;
უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები;
სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები;
მისამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული 73; 75
შესრულების კონდიქცია 73
უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები 73
ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი 74
ფულად ვალზე პროცენტის გადახდა 74
სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები 74
სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები;
დელიქტური ვალდებულებები 75
შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ 75
შეცდომით სხვისი ვალის გასტუმრება 76
შეცდომით ხარჯების განწევა სხვა პირის ქონებაზე 76
სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგები 76

16. დელიქტური ვალდებულებანი

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება 75; 77
სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის 77
სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად
დამდგარი ზიანის ანაზღაურება 78
პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან გამომდინარე
მიყენებული ზიანისათვის 78
ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას 79
ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ვადა 79

17. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი

17.1 განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე

რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენება 80
გეოგრაფიული სახელის რეგისტრაცია 80
სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაცვის უზრუნველყოფა 80

17.2 გამომგონება

გამომგონების ეფექტურობის დადგენა 80

17.3 საავტორო უფლების დაცვა

რეპუტაციის პატივისცემის უფლება 81
საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან დადებული
სალიცენზიო ხელშეკრულების გარეშე მუსიკალური
ნაწარმოების კაპელით გადაცემის აკრძალვა 81
მუსიკალური ნაწარმოების კაპელით ტრანზიტი;
მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები 82

18. საოჯახო სამართალი

18.1 მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

მეუღლეთა თანასაკუთრება 82
თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ურთიერთშეთანხმებით 82
არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება
თანასაკუთრების გაყოფისას 83
ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი 83

18.2 მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა 83
ბავშვის ინტერესების დაცვა;
განმორჩინებული ან ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების
უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ 84
არასრულწლოვანი შვილების
საცხოვრებელი ადგილი მშობლების განმორჩინებისას 84
ბავშვის გადაცემა 85

18.3 სალიცენზიო მოვალეობანი

ალიცენზის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ 85
ალიცენზის ოდენობის შემცირება უფლებამონაცვლეობის დადგენისას 86

19. მემკვიდრეობის სამართალი

19.1 მემკვიდრეობის სამართლის ზოგადი დებულებანი

ანდერძით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა;
უღირსი მემკვიდრე 86
სამკვიდროს ბახსნა კომლში 87
სამკვიდრო ქონება 87
სამკვიდრო ქონება;
სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა 87

19.2 მემკვიდრეობა კანონით

მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განმორჩინებისას 88
სამკვიდრო მონეობა 88

19.3 სავალდებულო წილი

სავალდებულო წილის ტრანსმისია 88

19.4 ანდერძის შეცვლა ან მოშლა

ანდერძის ბათილობის შესახებ სარჩელის წარდგენის ვადა 89

19.5 სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე	
სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება	89
სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება;	
კანონით მემკვიდრეობის შინაარსი, რიგითობა	87; 90
19.6 სამკვიდროს გაყოფა	
სამკვიდროს გაყოფის წესი	90
20. სამოქალაქო კოდექსის დასკვნითი და გარდამავალი დებულებანი	
სამოქალაქო კოდექსის მოქმედება დროში	90
საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთეზე	91; 92
საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთეზე;	
საზიარო საგნის მართვის წესის გადასვლა უფლებამონაცვლეზე;	
საზიარო უფლების გაუქმება	91
საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთეზე;	
საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას	92
21. პრივატიზება	
საცხოვრებელი ბინის პრივატიზება	92
22. შრომის სამართალი	
შრომის კოდექსის მოქმედების სფერო	93
შრომითი ურთიერთობა	93
შრომითი ხელშეკრულების დადება	93
გამოუყენებელი შვეულების ანაზღაურება	94
გამოუყენებელი შვეულების ანაზღაურება;	
საშვეულებო ანაზღაურება	94
პირგანსამტხლო ანაზღაურების დაყვანებისათვის	94
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა	95
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველები	96; 98
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი	98
შრომის კოდექსის მოქმედება დროში	100
23. საკორპორაციო სამართალი	
ღირებულების მიღებისა და მოთხოვნის უფლებები	100
პროკურისტები	101
საზოგადოების პარტნიორისა და	
ღირეპტორის პასუხისმგებლობის ფარგლები;	
საზოგადოების ხელმძღვანელისა და პარტნიორის პასუხისმგებლობა	101
საწარმოს ლიკვიდაცია	101
მოგების განადილება	102
ღირეპტორის მიერ კონტრაქტთან დადასტურებული გარიგების	
გათილოვის მოთხოვნის ხანდაზმულობა	102
საწარმოს ხელმძღვანელის კეთილსინდისიერება	102
საწარმოს ღირეპტორის თანამდებობიდან გათავისუფლება	103
ღირებულების მოთხოვნის უფლება	103
სპს-ში არსებული წილის გაყოფა მეუღლეთა განქორწინებისას	104
აქციონერთა უფლება-მოვალეობები	104
საწარმოს გარდაქმნა	104
24. სიძველისა და გამონატვის თავისუფლება	
ცილისნამება	105
ფაქტი და მოსაზრება	105

25. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა	
კანონის მოქმედების სფერო	105
საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების ნამდვილობა	107
26. გადახდისუუნარობის სამართალი	
პირობითი მოთხოვნა	108
რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი სანარმოს მიერ კუთვნილი ქონების გასხვისება	108
ქონების გასხვისება	108
27. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა	
საკომპენსაციო თანხის ოდენობა	109

სამოქალაქო საპროცესო სამართალი

1. უწყებრივი ქვემდებარეობა	
სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოებისადმი	110
2. განსჯადობა	
განსჯადობის წესების დარღვევა	111
3. პროცესის ხარჯები	
სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის	112
დავის საგნის ღირებულების 4%-ის ანაზღაურება	112
დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა სარჩლელების გაერთიანების შემთხვევაში	113
სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის დანებების გამომდინარე განაწილება სარჩლეზე უარის თქმისა და მორიგებისას	113
4. სასამართლო შეტყობინება და დაბარება	
სასამართლო უწყების ჩაბარება	113
მისამართის შეცვლა საქმისწარმოების დროს	114
უწყების ჩაბარება თანამონაწილისათვის	114
საჯარო შეტყობინება	114
5. მხარეები	
მხარეთა საპროცესო უფლებები	115
არასათანადო მოსარჩელის შეცვლა, ჩაბმა	115
არასათანადო მოპასუხის შეცვლა	115
სათანადო მოპასუხის ჩაბმა	116
6. საპროცესო თანამონაწილეობა	
თანამონაწილეობის საფუძვლები	116
7. წარმომადგენლობა სასამართლოში	
საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით	116
წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება	117
8. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება	
მტკიცების ტვირთი	59; 117
მტკიცებულებათა დასაშვებობა	120

ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას	122
საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები	123
9. მხარეთა ახსნა-განმარტება	
მოსამართლეთა შეკითხვები	124
აღიარება	124
10. წერილობითი მტკიცებულება	
წერილობითი მტკიცებულების დედნის წარდგენა	124
სასამართლოსათვის წერილობითი	125
მტკიცებულებების წარდგენის სავალდებულოება	125
წერილობითი მტკიცებულების ნამდვილობის შემოწმება სასამართლოს ინიციატივით	125
11. ექსპერტიზის დასკვნა	
ექსპერტის დანიშვნა	125
ექსპერტიზის დასკვნის შეფასება	126
განმეორებითი ექსპერტიზა	126
12. საქმის განხილვა პირველი ინსტანციით	
აღიარებითი სარჩელი; იურიდიული ინტერესი	126
13. სასამართლოს მთავარი სხდომა	
შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა	128
14. დაუსწრებელი გადაწყვეტილება	
მოპასუხის გამოუცხადებლობა	128
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველები	129; 132
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოთანის დაუშვებლობა	130
ახალი გადაწყვეტილება	132
15. სასამართლო გადაწყვეტილება	
საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყდეს გადაწყვეტილების გამოთანის დროს	132
სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები	133
გადაწყვეტილების შინაარსი	133
გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება	135
გადაწყვეტილების ასლების მხარეებისთვის ჩაბარება; სააკველიციო საჩივრის შეთანის ვადა	135
დამატებითი გადაწყვეტილება	135
16. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა	
გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები	136
17. საქმისწარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოთანის გარეშე	
სარჩელის განუხილველად დატოვება	136
18. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი	
საქმის გარემოებათა დადგენა სასამართლოს ინიციატივით	137
19. საქმისწარმოება სააკველიციო სასამართლოში	
გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები	138
ახალი ფაქტები და მტკიცებულებები	138

20. სააკველიციო სასამართლოს გადაწყვეტილება

გადაწყვეტილების შეცვლის ფარგლები 139
გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება
ხელახლა განსახილველად 139
სააკველიციო სასამართლოში მხარეთა გამომუცხადებლობის შედეგები 130; 140
სააკველიციო სასამართლოს განჩინების შინაარსი 141

21. კასაცია

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები 142

22. სააღსრულებო წარმოება

სააღსრულებო ფურცელი 143
ყადაღის საბანი 143

შემოკლებანი

ადმ	–	საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ
ასსსჩ	–	საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ
ბმა	–	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა
ბმაშ	–	საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ
ბსგკ	–	ჰააგის 1980 წლის კონვენცია ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ
გწშ	–	საქართველოს კანონი გადახდისუნარიობის საქმისწარმოების შესახებ
ზგშ	–	საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
იმბ	–	საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება
მენშ	–	საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ
მკდ	–	საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება
მუხ.	–	მუხლი, მუხლები
ნოაშ	–	საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ
რედ.	–	რედაქცია
საპ	–	საქართველოს საპატენტო კანონი
სარკ	–	საქართველოს სარკინიგზო კოდექსი
სასკ	–	საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
სგთ	–	საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ
სზაკ	–	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
სკ	–	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სმურ	–	საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ
სმუშ	–	საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ
სწშ	–	საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ
სს	–	სააქციო საზოგადოება
სსამ.კ	–	საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი (1964 წ. რედ)
სსეშ	–	საქართველოს კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ
სსკ	–	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სსსწუ	–	საქართველოს კანონი საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ
სუსგ	–	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სწშ	–	საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ
სხვ.	–	სხვა
შკ	–	საქართველოს შრომის კოდექსი
შპს	–	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ძვ.	–	ძველი

მუხლოვრივი საქიჯელი

ნორმატ. აქტი	მუხლი ან №	ვერდი
ადმ	4	117
ასსსჩ	6	109
ბმაშ	2	68
	4	142
	6; 8	69
	10	68; 69
	21; 23	69
ბსგკ		85
გწშ	3; 38; 44	108
იმბ	146	89
მენშ	3	101
	5	101
	8	102
	9	101-103
	30	104
	44	103
	47	100
	50	100; 101
	53	104
მკდ	107	92; 107
	288	104
საპ	12; 13	80
	48; 53	80
სარკ	25	64
სასკ	2	110; 111
	26	110; 111
სგთ	1; 5; 7; 13-19	105
სზაკ	2	110
სკ	5	20
	8	20
	18	20
	50	21
	51	98
	52	21; 41
	54	21
	55	22
	56	22-23
	59	23
	72; 81	24
	104	24

ნორმატ. აქტი	მუხლი ან №	ვერდი
	114	24
	115	25; 98
	128	25; 32
	129	25; 26; 42
	130	26
	137	27
	138	27; 28
	141	28
	144	28
	150	29
	155	29
	160	30
	162-163	30
	170	31; 92
	172	31-33
	173	34; 70; 71
	180-181	34
	183	35
	185	35; 39
	187	35
	198	36; 87
	199	87
	266	36
	272	36
	289; 291	37
	311'	38
	312	38-39
	314	39
	322-323	56
	327-328	40
	334; 338	41
	341	41
	349-350	42-43
	352	43-44
	361	45
	365	45
	373	45
	379	46
	382	46
	385	72
	394	46; 47
	396	47

ნორმატ. აქტი	მუხლი ან №	ვერდი
	398	62
	399	44
	403	47
	405	43
	408	48; 93
	411	49; 75
	413	50
	417	51
	419-420	51
	429	52
	434	54
	448	54
	453	54
	465-466	131
	469	131
	477	55
	485	55
	489	55
	509	56
	521	56
	524	56
	526	57
	529	57
	530	57
	535-536	58
	545	58
	548	58
	581	59
	591	59
	598	59
	602	59
	623	56; 60
	624	60
	625	61
	629	61
	631-632	62
	636	63
	648-649	63
	680	64
	709	64
	744	64

ნორმატ. აქტი	მუხლი ან №	გვერდი
	815-818	65
	829	65
	832	66
	872	66
	879	66
	885	66
	887	67
	889	67
	930-940	67-69; 119
	942	70
	953-954	70
	956	71
	958	91
	959	71
	961	91
	963	71;72;91;92
	964	72
	976	72; 73
	979	73; 75
	980-981	74
	982	73-75
	983	75
	986-987	76
	989	73
	991	76
	992	75; 77
	998	77
	999	78
	1000	78
	1006	79
	1008	79
	1158	82
	1160	82
	1168	83
	1170	83
	1197	83
	1198	83
	1199	84
	1201	83; 84
	1202	83; 84
	1214	85

ნორმატ. აქტი	მუხლი ან №	გვერდი
	1221	86
	1310	86
	1323	87
	1328	87
	1336	90
	1341	88
	1354	86
	1371	88
	1409	89
	1426	87; 89; 90
	1452	90
	1499	88
	1507	90
	1513	91; 92
სმურ	2	29
სმუმ	17; 18	81
	54	82
	59; 65	81
სნშ	6	80
	34	80
	45	80
სსამ.კ	544	46; 88
	547	90
	556	88
სსკ	11	110
	13	111
	53	112
	54	113
	70-78	113; 114
	83	115
	84	115; 128
	85	115;116;128
	86	115; 128
	93	116
	96	117
	102	59;117-119
	105	120;122;132;137
	106	122-123
	128	124

ნორმატ. აქტი	მუხლი ან №	გვერდი
	131	124
	135	124
	136-137	125
	162	125
	172-173	126
	180	126-128
	215	128; 129
	230	128; 129
	232'	129; 130
	233	129-131
	240	132
	241	129;130
	244	132
	248	133
	249	133; 134
	251	135
	259'	135
	261	135
	266	136
	275	136
	354	137
	377	138
	380	138
	384	139
	385	139; 140
	387	130;140;141
	390	141
	394	142
სსსნუ	1	105
	2	107
სნშ	18'	115
	20	143
	44	143
შკ	1; 2	93; 96
	6	93; 96
	21	94
	31	94
	37	95-98
	38	93; 98
	53	100

სამოქალაქო კოდექსი

სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი

1. შესავალი დებულებები

კანონის ანალოგია

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი

კანონის ანალოგია არ გამოიყენება, თუ ნორმის სტრუქტურა ცალსახად ადასტურებს, რომ იგი სპეციალურ სამართლებრივ ურთიერთობას აწესრიგებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 8 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-743-699-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

კეთილსინდისიერების პრინციპი

– სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერება უკავშირდება პირისათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და არა იმის შესრულებას, რაც მას არც ხელშეკრულებით და არც სხვა სახით მხარის მიმართ არ უკისრია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 23 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1388-1224-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

2. პირები

პირადი არაქონებრივი უფლებები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი

იურიდიულ პირს არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორცაა: პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლობა, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საქმიანი რეპუტაცია იურიდიული პირის დაცულ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს, რომლის შელახვის გამო, შესაძლოა, განხილულ იქნეს მხარის პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-1052-1007-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

3. გარიგებანი

იურიდიული ინტერესი გარიგების ბათილად ცნობისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლი

ცალმხრივი, ორმხრივი თუ მრავალმხრივი ნების გამოვლენით მიღწეული შეთანხმების ბათილად ცნობის მოთხოვნისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დადგენილი იურიდიული ინტერესის ნამდვილობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-1058-1013-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ნების გამომვლენის განმარტება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი

გამოვლენილი ნება უნდა შეფასდეს მისი შინაარსის გათვალისწინებით. ნების გამოვლენის ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა საბოლოო შედეგს ისახავდა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მიზნად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-377-357-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის განმარტება საქმეზე №ას-501-475-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა მიერ დაწესებული პროცენტი მნიშვნელოვნად აღემატება, ზოგადად, კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დაწესებულ ოდენობას, შესაძლებელია, ასეთი ნების გამოვლენა ბათილად ჩაითვალოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-231-216-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

გარიგების ბათილობა გავლენის პოროტად გამოყენების გამო

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი

სკ-ის 55-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები კუმულაციურია და გარიგების ბათილად ცნობისათვის არაა საკმარისი მარტოდენ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის მიღებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 20 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1224-1149-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მორჩენებითი და თვალთმაქცური გარიგება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი

მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსარჩელე გარიგებას მორჩენებითად ან თვალთმაქცურად მოიხსენიებს, იმგვარად, რომ შეცილების უფლების მქონე პირი არ ეცილება გამოვლენილ ნებას, არ უთითებს ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას, სასამართლოს არ აძლევს უფლებას, დაადგინოს გარიგების ბათილობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 2 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1264-1204-14
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მორჩენებითი გარიგება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

მორჩენებითი გარიგებაა, როდესაც მხარის მიერ გამოვლენილი ნება მათ რეალურ განზრახვას არ შეესაბამება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 14 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1049-983-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მორჩენებითად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებს ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ ურთიერთშეთანხმებაზე, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. ნების გამოვლენის ნაკლი უნდა დაამტკიცოს იმან, ვისაც მიაჩნია, რომ მოსარჩენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 1 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1341-1379-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მორჩენებით გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმე-

ბაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 6 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-789-754-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მორჩენებითი გარიგების გაბათილების შემთხვევაში, გამოირიცხება შემძენის კეთილსინდისიერება, ვინაიდან ამ დროს გამსხვისებელიც და შემძენიც თანმხდებიან იმაზე, რომ მათ მიერ დადებულ გარიგებას არ მოჰყვებს შესაბამისი იურიდიული შედეგები, რათა მიღწეულ იქნეს კანონსაწინააღმდეგო მიზანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 19 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-643-611-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

თვალთმაქცური ბარიგება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი

მხოლოდ იმ ფაქტის დადგენა, რომ მოსარჩელეს სურდა სხვა გარიგების დადება, რასაც არ დაეთანხმა პირველი მოპასუხე, არ არის საკმარისი გარიგების თვალთმაქცურად მისაჩნევად და სარჩელის დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 25 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-876-834-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ფორმის დაუცველად დადებული ბარიგება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლი

ხელშეკრულების ბათილობის უპირობო საფუძველი ვერ გახდება ის გარემოება, რომ პირმა გარიგების დადებამდე დაუშვა ნორმატიული აქტით გათვალისწინებული გარკვეული პროცედურული დარღვევები ქონების სხვა პირზე გადაცემისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 6 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-474-448-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შეცილების, როგორც ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების ნამდვილობა მეორე მხარის მიერ მის შეცნობასთანაა დაკავშირებული, ამასთან, სამართლებრივი შედეგის მიღწევისათვის, გამოვლენილი უნდა იყოს სამართლებრივად ნამდვილი შეცილება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გაირკვეს, თუ ვინ წარმოადგენს შეცილების უფლების სუბიექტს – უშუალოდ ნების გამომვლენი თუ სხვა პირი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 11 მაისის განმარტება საქმეზე №ას-423-400-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები იმავე ფორმით უნდა იქნეს შეტანილი, რა ფორმითაც იურიდიულად წარმოიშვა მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და განისაზღვრა ვალდებულების შესრულების ვადა და წესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 15 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-721-728-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შეცდომითა და მოტყუებით დადებული გარიგებანი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 72-ე და 81-ე მუხლები

იმისათვის, რომ გაიმიჯნოს შეცდომითა და მოტყუებით დადებული გარიგებები, სრულყოფილად უნდა იქნეს გამოკვლეული გარიგების დადების წინაპირობები და დადგინდეს, რა გარემოებები დაედო საფუძვლად მხარეთა მიერ ნების გამოვლენას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 25 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1350-1275-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

გარიგების შედეგების აღრესატი წარმომადგენლობისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლი

სსკ-ის 104-ე მუხლის ითვალისწინებს ზოგადად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ გარიგების დადების მატერიალურსამართლებრივ შესაძლებლობას და განსაზღვრავს გარიგებით მიღებული იურიდიული შედეგის აღრესატს. მაგრამ, განსახილველი ნორმის განმარტებისას, უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული ურთიერთობისათვის დამახასიათებელი სპეციალური მოთხოვნები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 11 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-570-541-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლი

ნასყიდობის ხელშეკრულება მიიჩნევა მერყევად ბათილად, თუ მხარეს წინასწარ არ აქვს მარწმუნებლის თანხმობა ქონების საკუთარ სახელზე აღრიცხვის თაობაზე. ხელშეკრულება იურიდიულ ძალას იძენს მარწმუნებლის მიერ მისი მოწონების შემთხვევაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 8 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-1655-1552-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

4. უფლების განხორციელება

უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი

კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა პასუხისმგებლობით მოქმედებასა და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას; დაუშვებელია უფლების გამოყენება მხოლოდ იმ მიზნით, რომ სხვას მიაღდგეს ზიანი. კრედიტორს არ შეუძლია, უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1338-1376-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

უფლების ბოროტად გამოყენებას მაშინ აქვს ადგილი, თუ პირი მოქმედებს არამართლზომიერად, ამასთან, ქმედება მიზნად ისახავს მხოლოდ სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას და არ ემსახურება საკუთარი უფლების დაცვას ან აღდგენას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1385-1307-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

5. ხანდაზმულობა

ხანდაზმულობის ვადის გავრცელება მოთხოვნასა და უფლებაზე

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლი

ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება რაიმე დროით შეზღუდული არ არის. პირს ყოველთვის შეუძლია, წარადგინოს მოთხოვნა მაშინაც კი, როცა ხანდაზმულობის ვადა გასულია. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-579-554-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი

პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება ასაა, რომ თანხის

გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-183-176-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებებიც დარღვეულია, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობაზე მითითება წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემაფერხებელ შესაგებელს, რომლის არსებობის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, ამ კუთხით დაადგინოს ფაქტები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განმარტება საქმეზე №ას-423-400-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა;
და ხანდაზმულობის ვადის დაწყება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლები

სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს, ანუ იმ მომენტს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1219-1160-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ხანდაზმულობის ვადის ათვლა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი

იმისათვის, რომ დავადგინოთ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია თუ არა, პირველ რიგში საჭიროა, განისაზღვროს არსებული ვადის დენის დასაწყისი. სკ-ის 130-ე მუხლი ასეთად მოთხოვნის წარმოშობის მომენტს ასახელებს, ანუ იმ მომენტს, როცა პირმა შეიტყო, ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-649-610-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-547-515-2012, 11.06.2012; №ას-1580-1579-2011 03.05.12.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან ობიექტურად უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, ამასთან, ივარაუდება, რომ მან

დარღვევის განხორციელებისთანავე შეიტყო აღნიშნულის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო უფლების დარღვევის შესახებ ვერ გაიგო, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იმ მომენტიდან დაიწყება, როცა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, პირს უფლების დარღვევის შესახებ უნდა შეეცყო. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. თუკი მხარეებმა ხელშეკრულების შესრულების ვადა განსაზღვრეს, ხანდაზმულობის ვადის ათვლა სწორედ ამ მომენტიდან უნდა დაიწყოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-190-183-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი

მხარე შეიძლება ადასტურებდეს რაიმე კონკრეტულ ფაქტს, მაგრამ ამ შემთხვევაში აღიარება რომ არსებობდეს, ზუსტად ის ფაქტი უნდა დადასტურდეს, რომელზედაც მონიშნულ მხარე აფუძნებს თავის მოთხოვნას;

ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება, შეწყდეს მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში, ხოლო ხანდაზმულობის ვადის დასრულების შემდეგ მისი შეწყვეტა დაუშვებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-266-254-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ვალდებულების სხვაგვარად აღიარების საკითხი შეფასებითი კატეგორიაა და, კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოებათა სრული ანალიზით უნდა დადგინდეს. მოვალის ასეთ ქმედებად – სხვაგვარ აღიარებად უნდა ჩაითვალოს მოვალის ისეთი ქმედება, რომელშიც აშკარად გამოკვეთილია პირის ნება ვალდებულების არსებობასთან მიმართებით;

სკ-ის 137-ე მუხლის მიზნებისათვის მოვალის აღიარება სამართლებრივი ძალის მატარებელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი აღიარება ხანდაზმულობის ვადაში განხორციელდა, რადგანაც საფუძველს მოკლებული იქნება მსჯელობა იმაზე, რომ მოვალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებას შედეგად მოჰყვეს უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 მაისის განმარტება საქმეზე №ას-383-364-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი

სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა

არ შეწყდება, მაგრამ, თუ პირი განუხილველად დატოვებიდან 6 თვის განმავლობაში აღძრავს ახალ სარჩელს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს და განიხილავს, ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის წარდგენის მომენტიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 22 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1586-1489-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით;

ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვლა თავიდან

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე და 141-ე მუხლები

საკითხის სადავოობა, ვარგისია თუ არა ერთ-ერთი მხარის მიერ გამოხატული ნება საარბიტრაჟო განხილვისათვის, არ შეიძლება, შეფასდეს იმგვარად, რომ არბიტრაჟი არ წარმოადგენს სამოქალაქო უფლების დაცვისათვის კომპეტენტურ ორგანოს, მით უფრო, ისეთ პირობებში, როდესაც სარჩელი განხილულია არბიტრაჟის მიერ და არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე;

სასამართლოს გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო განხილვის შედეგის ბათილობა, სკ-ის 141-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ხანდაზმულობის ვადის დენის ხელახლა ათვლის საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 12 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-196-187-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილი

სკ-ის 144.3 მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება მოვალის მიერ ვალდებულების აღიარებას, სადაც მოვალე გამოსატყვევებს ნებას, იძლევა დაპირებას ვალდებულების შესრულების თაობაზე და არა ფაქტის აღიარებას, სადაც მოვალე ადგენს მარტოოდენ ვალდებულების ფაქტს (კონსტატაცია).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-1133-1079-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

6. სანივთო სამართალი

6.1 ქონება

საკუთრების უფლება ნივთის არსებით შემაღგენელ ნაწილზე

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლი

საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლის უფლება ვრცელდება მის სარგებლობაში არსებულ საცხოვრებელ სადგომზე და, შესაბამისად, იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც უშუალოდ დგას ეს საცხოვრებელი სადგომი. აქედან გამომდინარე, ამ საცხოვრებელი სადგომის ნაცვლად ახალი ნაგებობის აშენების შემთხვევაში, მოსარგებლის უფლება გავრცელდება, ასევე იმ მიწის არსებით შემაღგენელ ნაწილზეც, რომელზეც ვრცელდება მის მიერ მოპოვებული მოსარგებლის უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 1 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1448-1463-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

6.2 მფლობელობა

მფლობელობის ცნება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლი

ნივთის მფლობელობისათვის არაა აუცილებელი, რომ ნება მიმართული იყოს ქონების საკუთრებად ფლობისკენ. ასეთ შემთხვევაში, მფლობელი აუცილებლად მესაკუთრეც უნდა ყოფილიყო. მფლობელობა, იმისდა მიუხედავად, თუ რა უფლება დგას მის უკან, მოპოვებული უნდა იყოს მფლობელის ნების გამოვლენით, ე.ი. მას უნდა სურდეს, რომ იყოს მფლობელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 16 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-668-635-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საცხოვრებელ ბინაში პირის რეგისტრაცია

– „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი

რეგისტრაციის ფაქტით არ დასტურდება მფლობელობის მართლობიერება. რეგისტრაციის არსებობა არ შეიძლება, გახდეს უფლების, მათ შორის, საკუთრების უფლების შეზღუდვის, განკარგვის ან მათი განხორციელების საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 19 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-329-314-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი

სკ-ის 160-ე მუხლით, თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია. ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. მოცემულ ნორმაში ნივთი გულისხმობს როგორც მოძრავ, ისე – უძრავი ნივთებს. როდესაც კანონი ნივთის სახეობის მიხედვით განასხვავებს ნივთის შექმნის, უფლების დაკარგვის, საკუთრების უფლების პრეზუმფციისა თუ სხვა მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებულ წესებს, სპეციალური ნორმები პირდაპირ უთითებს ნივთის სახეობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1085-1114-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სკ-ის 160-ე მუხლი ეხება კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნას. თუ მფლობელს, რომელსაც არ გააჩნდა ფლობის უფლება, მაგრამ ამ ფაქტის მიმართ ის კეთილსინდისიერია, ჩამოერთვა მფლობელობა, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია, ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება. მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება, გამოყენებულ იქნეს უკეთესი უფლების მქონე პირის მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით. სკ-ის 160-ე მუხლი იცავს კეთილსინდისიერი მფლობელის უფლებას, ანუ მფლობელის, რომელსაც არ გააჩნდა მფლობელობის კანონიერი (სახელშეკრულებო) საფუძველი. ეს ნორმა მიგვიითითებს „მფლობელობის ჩამორთმევაზე“ და არა ვინდიკაციაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-68-64-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მართლზომიერი მფლობელობის საფუძველი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლი

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილები კომპაქტურად განსახლების ობიექტიდან ვერ გამოსახლდებიან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დევნილს ფართი თვითნებურად, კანონის დარღვევით აქვს დაკავებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1252-1272-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის მოვალეობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლი

განსახილველი ნორმით განსაზღვრულია არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი

მფლობელის უფლება-ვალდებულებები, ანუ მფლობელის, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება. აღნიშნული დანაწესი მიგვიჩვენებს იმაზე, რომ არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელი თავის შინაარსით წარმოადგენს არამართლზომიერ მფლობელს, ანუ პირს, რომელსაც არ გააჩნია მფლობელობის სამართლებრივი საფუძველი. მითითებული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, გამოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან ნივთი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 4 ოქტომბრის განმარტებასაქმეზე №ას-524-493-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

6.3 საკუთრება

საკუთრების უფლების შინაარსი;

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და

ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი

სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლების გამოსაყენებლად სასამართლომ უნდა დაადგინოს წარმოადგენს თუ არა მოსარჩელე სადავო ქონების მესაკუთრეს, არის თუ არა მოპასუხე საკუთრებაში არსებული ნივთის მფლობელი და გააჩნია თუ არა მოპასუხეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 8 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-740-696-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი

საკუთრების ბოჭვამ არ შეიძლება მოსპოს საკუთრება. კერძო საკუთრების შეზღუდვა არ უნდა ნიშნავდეს საკუთრების უფლების რეალიზაციის მოსპობას. არ შეიძლება, პირს ფორმალურად გააჩნდეს საკუთრების უფლება, ხოლო ფაქტობრივად არა, ანუ ვერ სარგებლობდეს საკუთრების უფლებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 11 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1205-1150-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

დასახელებული ნორმით რეგლამენტირებულია მესაკუთრის (თანამესაკუთრის) უფლებები, საკუთარი შეხედულებისამებრ, კანონით აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით ისარგებლოს (მათ შორის არ ისარგებლოს) საკუთრების ობიექტით და ნორმით გაუთვალისწინებელი ნებისმიერი ჩარევა განხილულ უნდა იქნეს საკუთრებით სარ-

გებლობის ხელაშეშლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 1-ლი ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-627-590-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ვინდიკაციური სარჩელი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (ვინდიკაციური სარჩელი) მესაკუთრის უფლების დაცვის აღიარებული საშუალებაა. ამ სარჩელს მესაკუთრე მაშინ იყენებს, როდესაც შელახულია ნივთზე მისი მფლობელობა, სახელდობრ, როცა მესაკუთრის ქონება უკანონო მფლობელის ხელთაა. ვინდიკაციური სარჩელის არსი საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან მომდინარეობს, რაც გულისხმობს მესაკუთრის თავისუფლებას, ნებისმიერ დროს დაეუფლოს კუთვნილ ნივთს ან ისარგებლოს ამ ნივთით, მათ შორის, მოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 23 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-707-677-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და
ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა;
სასარჩელო ხანდაზმულობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლი

ნეგატორული სარჩელი დაკმაყოფილდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ნივთის მესაკუთრე, რომლის საკუთრებას ხელყოფს ან საკუთრების გამოყენებაში სხვაგვარად ხელს უშლის სხვა პირის უკანონო მოქმედება;

ნეგატორულ სარჩელზე ხანდაზმულობის გავრცელება დაუშვებელია და მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს ხელშეშლის აღკვეთა, არ შეიძლება იყოს ხანდაზმული, ვინაიდან მესაკუთრის აღნიშნული თავისუფლების ხანდაზმულობის შემზღვევით და ნაწილობრივ დაქვემდებარება ენიშნა აღმდგევა საკუთრების უფლების აბსოლუტურ ბუნებას, საქართველოს კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 12 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1041-998-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საჯარო რეესტრის ბაზაში, როდესაც გამოვლინდება ზედდება, ეს არ ნიშნავს, რომ პირი იურიდიულად კარგავს საკუთრებას. ამ შემთხვევაში, ერთ-ერთი პირი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობს ნივთს და ნამდვილი მესაკუთრე უფლებამოსილია, მოითხოვოს ნივთის უკან გამოთხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2015 წლის 28 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-130-124-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი

დაუშვებელია მოქმედი სამოქალაქო კოდექსის გავრცელება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოშობილია და დასრულებულია ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს. მოქმედი სამოქალაქო კოდექსის თავისუფლების პრინციპის (სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლების) გავრცელება ამ კოდექსის ამოქმედებამდე საკუთრების შეზღუდვის შესახებ დადგენილი ფაქტების მიმართ და მისი კანონიერების ხელახლა განხილვა დღეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთრების სოციალური ფუნქციის გათვალისწინებით, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 27 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-483-457-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

სკ-ის 172 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია მოსარჩელის მიერ სადავო ნივთის საკუთრებაში ქონა და მოპასუხის მიერ მისი უკანონო მფლობელობის ფაქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 7 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1142-1071-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1662-1650-2011 11.12.13.

ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი

ხელშეშლის აღკვეთა შეიძლება, მოითხოვოს მესაკუთრემ, რომელიც კვლავაც ნივთის მფლობელად რჩება, მაგრამ, სხვისი უკანონო მოქმედების გამო, ხელი ეშლება საკუთრების გამოყენებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 16 მაისის განმარტება საქმეზე №ას-708-663-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საერთო საკუთრება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლი

საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 მაისის განმარტება საქმეზე №ას-526-499-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

6.4 სამეზობლო სამართალი

აუცილებელი გზა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი

აუცილებელი გზა არის სამეზობლო თმენის ვალდებულება, რაც წარმოადგენს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის სამართლებრივ მექანიზმს. ბოჭვის ამ ხარისხით გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ისეთი ობიექტური ფაქტორებით, რომლის არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელია მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 მარტის განმარტება საქმეზე №ას-6-6-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

აუცილებელი გზის უფლება წარმოადგენს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის სამართლებრივ მექანიზმს და მისი გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ისეთი ობიექტური ფაქტორებით, რომლის არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელია მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-744-801-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-102-100-2011 24.05.11; №ას-975-1009-2011 08.12.11.

სასაზღვრო მიწის აღმართვის მოვალეობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლი

მოშლილი ღობის აღდგენის დავალდებულება წარმოადგენს ხელშეშლის აღკვეთის შესახებ სარჩელს და, სამეზობლო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სავალდებულოა სკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იურიდიული შემადგენლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 23 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-395-374-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

6.5 საკუთრების შექმნა და დაკარგვა

უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა ბარიბების საფუძველზე

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი

კატეგორიულადაა დადგენილი იმ მტკიცებულებათა წრე, რომელთა მეშვეობითაც უნდა დადასტურდეს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შექმნა. ასეთი მტკიცებულებებია წერილობითი ფორმით დადებული გარიგება და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. სამოქალაქო კანონმდებლობა უძრავი ქონების შექმნის სხვა წესს არ იცნობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 19 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-333-318-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შემქმნის ინტერესების დაცვა;

კეთილსინდისიერი შემქმნის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 187-ე მუხლები

უძრავი ნივთის შემქმნის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 185-ე და არა 187-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2014 წლის 16 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-189-182-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

კეთილსინდისიერი შემქმნის ინტერესების დაცვა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი

დაუშვებელია ხელშეკრულების ბათილად ცნობა კეთილსინდისიერი შემქმნის ინტერესების საზიანოდ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 15 მარტის განმარტება საქმეზე №ას-957-900-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

არაუფლებამოსილი პირის მიერ უსასყიდლო განკარგვისას, თუნდაც ეს განკარგვა ნამდვილი იყოს უფლებამოსილი პირის მიმართ, ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი შედეგი მიიღო, მოვალეა, მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2015 წლის 19 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-643-611-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საკუთრების შექმნა უფლებებსა და მოთხოვნებზე

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლი

მოთხოვნისა თუ უფლების გადაცემა, ბუნებრივია, სამართლებრივ ურთიერთობაში პირის უფლებამონაცვლეობას იწვევს, თუმცა იგი არ არის უნივერსალური (როდესაც ამ მოთხოვნის/უფლების მიმღებზე გადადის პასუხისმგებლობაც). იმ შემთხვევაშიც, თუ თავად ეს მოთხოვნა/უფლება სხვა პირის სასარგებლოდ რაიმე საწინვით უფლებით არის დატვირთული, მოთხოვნის/უფლების მფლობელი შეზღუდულად, უზრუნველყოფის საგნით აგებს პასუხს, რაც ამ გზით წარმოშობილ უფლებამონაცვლეობას განასხვავებს მემკვიდრეობის გზით დაშვებული უფლებამონაცვლეობისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 3 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-122-118-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

6.6 გირავნობა

გარიგების დადება გირავნობის საბაზზე;

უფლების გორგათად გამოყენების დაუშვებლობა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 266-ე მუხლი

დამგირავებელსა და მესამე პირს შორის დადებული გარიგების ნამდვილობა არ არის დამოკიდებული მოგირავნის თანხმობაზე, ამავდროულად, მოგირავნეს წარმოეშობა საკუთარი მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების უფლება გირავნობის საგნიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 10 მარტის განმარტება საქმეზე № ას-1296-1223-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მფლობელობითი გირავნობის უფლების შეწყვეტა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 272-ე მუხლის მე-2 ნაწილი

მფლობელობითი გირავნობის უფლება წყდება იმ შემთხვევაში, როცა მფლობელობა დამგირავებელს უბრუნდება. აღნიშნული გარემოება თავისთავად გამორიცხავს სადავო ნივთზე გირავნობის უფლების არსებობას, რაც შეუძლებელს ხდის მისი რეალიზაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 20 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-483-457-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

6.7 იპოთეკა

იპოთეკა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლი

იპოთეკა აქცესორული უფლებაა, ანუ ისეა დაკავშირებული კრედიტორის მოთხოვნის უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1212-1138-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

უძრავი ნივთის მესაკუთრის უფლება, რომელიც არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 291-ე მუხლი

კანონი იცავს იპოთეკით უზურნველყოფილი მოთხოვნის არაპირადი მოვალის უფლებას და მას ანიჭებს უფლებას, რომ იპოთეკარს წაუყენოს ის შესაგებელი, რომლის უფლებაც მხოლოდ პირად მოვალეს აქვს, მათ შორის, ფულად ვალდებულებათა გაქვითვისა და მოთხოვნის გასაჩივრების გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-737-699-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

იპოთეკის გავრცელება ქონების შემადგენელ ნაწილზე

თუ ნივთი დავის პერიოდისთვის აღრიცხულია იპოთეკით დატვირთული ქონების შემადგენელ ნაწილად, მასზე გავრცელდება ამ ნივთზე არსებული იპოთეკა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-1081-1110-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

7. საჯარო რეესტრი

საჯარო რეესტრში გარიგების წარდგენის წესი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311¹-ე მუხლი

სკ-ის 311¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წერილობითი გარიგების კანონით დადგენილი წესით დამონებული ხელმოწერა იმპერატიული დანაწესია და ამ ტიპის გარიგებისთვის კანონით განსაზღვრულ ფორმას წარმოადგენს, ხოლო ამ ფორმის დაუცველად დადებული გარიგება კანონით გათვალისწინებულ იურიდიულ შედეგს – საჯარო რეესტრში რეგისტრაციით საკუთრების უფლების მოპოვებას ვერ წარმოშობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 24 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-221-213-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

რეესტრის მონაცემთა უზუსტობისა და სისრულის პრეზუმფცია

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი

შემძენს, თავისი უფლების დასამტკიცებლად, შეუძლია, დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს, თუნდაც, სინამდვილეში, არასწორი იყოს რეესტრის მონაცემები. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად უნდა ირკვეოდეს, რომ შემძენმა ნივთის შეძენამდე არ იცოდა და არც შეიძლება, სცოდნოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2014 წლის 20 მაისის განმარტება საქმეზე №ას-394-373-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

თუ უძრავი ნივთის საკუთრების შესახებ საჯარო რეესტრში არსებული რეგისტრაცია ძალადაკარგულია ახალი რეგისტრაციით, მაშინ ამ უკანასკნელი რეგისტრაციის გაუქმება (ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად გამოცხადება) და რეგისტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ წამოყენებულია მოთხოვნა რეგისტრაციის საფუძველად არსებული სარეგისტრაციო (უფლების დამადასტურებელი) დოკუმენტის (სასამართლო გადაწყვეტილების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებისა და სხვა) გაუქმების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 10 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-340-325-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სკ-ის 312-ე მუხლით განსაზღვრული საჯარო რეესტრის მონაცემების სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია მოქმედებს ნივთის შემძენისა და არა სასამართლოს მიმართ, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც თავად საჯარო რეესტრი ადასტურებს მონაცემების უსწორობას, ხოლო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ვინდოკაციური სარჩელის დაკმაყოფილების საკითხი, რაც თავისთავად გულისხმობს ნივთზე პირის უფლების არსებობის გამოკვლევას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2013 წლის 11 მარტის განმარტება საქმეზე №ას-39-37-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ერთსა და იმავე უძრავ ნივთზე ორი ჩანაწერის კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე არის რეგისტრირებული, ვინაიდან წინმსწრები რეგისტრაციის ჩანაწერის მოქმედება გამორიცხავს შემდეგი ჩანაწერის კანონიერებას. როდესაც ბოლო ჩანაწერი ძალას უკარგავს ადრინდელ ჩანაწერს, ე. ი, როდესაც უძრავ ნივთზე არსებობს მხოლოდ ერთი სარეგისტრაციო ჩანაწერი, მაშინ იმ პირს, რომლის სარეგისტრაციო ჩანაწერი გაუქმებულია ახალი სარეგისტრაციო ჩანაწერით, შეუძლია, დაიბრუნოს საკუთრების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სადავოდ გახდის ახალ შემძენზე საკუთრების გადასვლის საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 27 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-463-439-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

რეესტრის მონაცემთა უზუსტობისა და სისრულის პრეზუმფცია;
კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი

ქონების გასხვისებისას არაკეთილსინდისიერება მაშინ იჩენს თავს, როდესაც შემძენისათვის ცნობილია, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეს საკუთრების უფლება არამართლზომიერად აქვს მოპოვებული და ნივთი სხვისდება შესაბამისი სამართლებრივი შედეგის თავიდან აცილების მიზნით;

შეუძლებელია უძრავი ქონების ჩამორთმევა და მისი გასხვისების თაობაზე დადებული გარიგების ბათილობა, თუ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის ყველა დოკუმენტი (ამ ნივთთან დაკავშირებით) სამართლებრივად მონესრიგებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 17 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-888-836-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 314-ე მუხლი
(ამჟამად ეს ნორმა ამოღებულია)

რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა განისაზღვრება რეგისტრაციის დროის თანამიმდევრობის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 17 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1406-1421-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა განისაზღვრება რეგისტრაცი-

ის დროის თანამიმდევრობის მიხედვით. რეგისტრაციის თარიღად მიიჩნევა რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანის დღე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 10 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-308-292-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

8. ვალდებულებითი სამართალი

8.1 ხელშეკრულების დადება

შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე (წინარე ხელშეკრულება)

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილი

წინარე ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით განსხვავდება ძირითადი გარიგებისაგან, თუმცა წინარე ხელშეკრულება ჩვეულებრივ გარიგებას წარმოადგენს და მის მიმართ სრულად ვრცელდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმები. წინარე ხელშეკრულების შინაარსი, როგორც წესი, გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულების საგნიდან, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ძირითადი ხელშეკრულების დადების დავალდებულებას, განსაზღვრავდეს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადავად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ბათილად ჩაითვლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-661-628-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

არსებითია ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზეც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 21 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-283-267-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ხელშეკრულების ფორმა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლი

ნებისმიერი შეთანხმების ძალაში შესასვლელად აუცილებელია კანონით დადგენილი ან მხარეთა მიერ გათვალისწინებული ფორმის დაცვა. ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე, ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 9 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-231-216-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ოფიცინის თანხმობის ვარაუდი;

ურთიერთგამომრიცხველი და

მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამები ხელშეკრულებაში;

ნების გამოვლენის განმარტება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 338-ე მუხლი

ნების გამოვლენა უნდა განიმარტოს უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში ჩანერილი გამონათქვამების დაზუსტება (განმარტება). სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილ ადგილებს ე.წ. ხარვეზებს ავსებს. ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოსატყუებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ხელშეკრულების შინაარსს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1144-1090-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ვალის არსებობის აღიარება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი

ვალის არსებობის აღიარება, როგორც ვალდებულების არსებობის დამოუკიდებელი კომპონენტი, ხელნერილის შინაარსიდან უნდა მომდინარეობდეს, კერძოდ, ხელნერილით პირი უნდა აღიარებდეს გარკვეულ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების თავისებურება სწორედ ისაა, რომ მასში ვალდებულების შესრულების მზაობა იკვეთება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-1133-1079-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მოვალის აღიარება სამართლებრივი ძალის მქონე მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი აღიარება ხანდაზმულობის ვადაში განხორციელდა, რადგანაც საფუძველს მოკლებული იქნება მსჯელობა იმაზე, რომ მოვალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებას შედეგად მოჰყვეს უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა (სკ-ის 137-ე მუხლი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 მაისის განმარტება საქმეზე №ას-383-364-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ვალის არსებობის აღიარება მხოლოდ მაშინ ვლინდება, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-413-391-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მხარეები, თუ უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამომდინარე ან ადასტურებენ მას, ან არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობას მხოლოდ მაშინ აღიარებენ, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-721-728-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-839-890-2011 08.11.2011.

ვალის აღიარების ხელშეკრულება დამოუკიდებელი გარიგებაა, კანონის მოთხოვნებიდან (სკ-ის 327-ე მუხლი) გამომდინარე, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილ პირობებს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი დოკუმენტი, რომელშიც ვალის არსებობაა დაფიქსირებული, ვერ ჩაითვლება ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად, თუ არ დადგინდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-1485-1401-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

8.2 მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული გარიგების ცნება, განმარტება;

სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 350-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულებები უნდა შესრულდეს კონკრეტული შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-670-636-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 350-ე მუხლი

სანაცვლო ვალდებულების შეუსრულებლობა გავლენას ვერ მოახდენს მესამე პირის უფლებაზე იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულების მხარეებს უარი არ უთქვამთ ხელშეკრულებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-796-850-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლა

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები;

დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლები

სკ-ის 352-ე მუხლი განსაზღვრავს რა ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგს, მისი გამოყენება დაიშვება მხოლოდ ამავე კოდექსის 405-ე მუხლთან ერთობლივად, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის წესისა და სავალდებულო პირობების მომწესრიგებელი დანაწესია. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების თანმდევი შედეგის – მხარეთა ორმხრივი რესტიტუციისათვის, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს: ა) მოპასუხის მიერ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისა და ბ) ვალდებულების შესრულების თაობაზე კრედიტორს მიერ მოვალის გაფრთხილების ან მისთვის დამატებითი ვადის დაწესების ფაქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-658-625-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არის აღმჭურველი უფლება და მოთხოვნის უფლებებისაგან განსხვავებით მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა. იგი შეიძლება, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნებისმიერ დროს იქნეს გამოყენებული, თუკი, არსებობს კანონით ამომწურავად განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები და წესები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1189-119-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები;

უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე;

დამატებითი ვადის დანესება ვალდებულების დარღვევისას

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლი

მოკლევადიან ხელშეკრულებაზე მოშლის ინსტიტუტი არ ვრცელდება, რადგან იგი გამოიყენება მხოლოდ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ. ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულებიდან გასვლა, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ვალდებულების ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე შეწყვეტას გულისხმობს, მაგრამ მოშლის თავისებურება სწორედ ისაა, რომ წყდება სამომავლო შესრულების ვალდებულება, ხოლო უკვე შესრულებული მხარეებს არ უბრუნდებათ (გარდა სკ-ის 399-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა), ხელშეკრულებიდან გასვლა კი, ნატურით დაბრუნებას გულისხმობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 30 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-779-746-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ზინანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის დროს წარმოიშობა მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნების ვალდებულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 14 მარტის განმარტება საქმეზე №ას-945-895-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძველი

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი

ნასყიდობის გარიგების დადებისას ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა, მყიდველის მხრიდან ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძველია და არა გარიგების ბათილობის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 12 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-341-325-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

9. ვალდებულების შესრულება

ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი

ანგარიშფაქტურა თავისი სამართლებრივი ბუნებით იქმნება საგადასახდო მიზნებისათვის და არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ფაქტი და იგი არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 12 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-678-638-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის
განსაზღვრული ვადის არარსებობისას

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლი

კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება თუ მისი შესრულებისათვის დრო არ არის განსაზღვრული და იგი არც სხვა გარემოებიდან ირკვევა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 16 მაისის განმარტება საქმეზე №ას-858-807-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

იმ შემთხვევისათვის, როდესაც ვალდებულების შესრულების ვადა არ არის განსაზღვრული, უფლების დარღვევის შესახებ კრედიტორი შეიტყობს მხოლოდ მაშინ, როცა იგი მოითხოვს ვალდებულების შესრულებას, ხოლო მოვალე უარს იტყვის შესრულებაზე ან ფაქტობრივად არ შეასრულებს მას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 8 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-431-414-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული შესრულება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შესრულებულად, თუკი კრედიტორმა ამაზე თანხმობა განაცხადა ან შესრულებისაგან მიიღო სარგებელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 2 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1247-1176-2012
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

კრედიტორის უფლება სხვა შესრულების მიღებაზე

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 379-ე მუხლი

კრედიტორი არ არის ვალდებული, მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა შესრულება დიდი ღირებულების მქონეა. აღნიშნული ნორმა მოვალისათვის იმპერატიულია, ხოლო კრედიტორისათვის – დისპოზიციური.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 3 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-788-842-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ვალდებულების შესრულება გვაროვნული ნივთის არსებობისას

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 382-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედ.) 544-ე და 556-ე მუხლები

შესრულების საგანი, თუ ისეთი ნივთია, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი), მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს. სასამართლომ რომც გაიზიაროს მოსაზრება, რომ ხელშეკრულების საგანი არის გვაროვნული ნივთი, თუ ხელშეკრულებიდან ნათლად ირკვევა, რომ მხარეთა შეთანხმების საგანი (ნივთი) ინდივიდუალიზებულია, მაშინ იგი ჩაითვლება ინდივიდუალურ ნივთად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2014 წლის 28 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-49-48-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

10. ვალდებულების დარღვევა

მიყენებული ზიანის ანაზღაურება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი

სამოქალაქო კოდექსით დადგენილია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი ვალდებულებით ურთიერთობაში, რომლითაც მოვალეს ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ დადგინდა, რომ მისი ქმედება ბრალეული/მართლსაწინააღმდეგო იყო, მას მოჰყვება ზიანი და არსებობს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 17 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-313-298-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი

სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უზოგადესი ნორმაა, რომელიც განამტკიცებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და კრედიტორს ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. აღნიშნული მუხლის გამოყენების წინაპირობებია: 1) მართლწინააღმდეგობა; 2) ბრალი; 3) მიზეზობრივი კავშირი; 4) ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-167-163-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 396-ე მუხლები

სახელმწიფოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორის მართლწინააღმდეგო და ბრალეულ მოქმედებას ზიანი მოჰყვა და ამ ზიანისათვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-616-586-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მოვალის მიერ ვადის გადაცილება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი

„მოვალის მიერ ვადის გადაცილების“ შესახებ სკ-ის შესაბამისი თავი არ გულისხმობს მხოლოდ სესხის ხელშეკრულების მოვალეს, ანუ დებიტორს. მოვალე გულისხმობს ნებისმიერ ხელშეკრულებაში პირს, რომელსაც ამ ხელშეკრულებით გარკვეული ქმედების განხორციელების ან ქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულება ეკისრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-903-848-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სკ-ის 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც განიცადა კრედიტორმა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო. 403-ე მუხლით სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: მოვალეს შესასრულებელი უნდა ჰქონდეს ფულადი ვალდებულება; ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა უნდა იყოს დარღვეული; ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1701-1685-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

11. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული ზიანის მიმყენებელი, გადაეხადა კომპენსაცია დაზარალებულსათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1220-1145-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სკ-ის 408.1 მუხლით გათვალისწინებული იძულებით განაცდურთან დაკავშირებული ზიანი განსხვავდება შკ-ის 38.8 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციისაგან, რადგან ეს უკანასკნელი სასამართლომ სწორედ იმ შემთხვევისათვის უნდა გამოიყენოს, როდესაც შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-951-901-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი ზიანი და არა არაპირდაპირი ზიანი. პირდაპირ ზიანს მიეკუთვნება როგორც დადებითი ზიანი, ისე მიუღებელი შემოსავალი. არაპირდაპირი ზიანი, ეს ისეთი ზიანია, რომელსაც, გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, მოვალე საერთოდ ვერ ივარაუდებდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-167-163-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. მოვალეს არ შეიძლება, დაეკისროს იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას არ შეეძლო. ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი და არა არაპირდაპირი ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-802-767-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ზიანის ანაზღაურების მოვალეობის არსი ისაა, რომ ანაზღაურდება მხოლოდ მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი, ამასთან, მხარეებმა კეთილსინდისიერად უნდა განახორციელონ საკუთარი უფლებები და მოვალეობები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-512-485-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი

მიუღებელ შემოსავალში იგულისხმება არა პროდუქციის თვითღირებულებასა და საერთო შემოსავალს შორის სხვაობა, არამედ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი. მიუღებელი შემოსავალი არის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეიძლება სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად მიღებულიყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-848-806-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სკ-ის 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ხელშემკვერელ მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა კრედიტორის სუბიექტური შეფასებით. მიუღებელი შემოსავალი ეს არის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-406-383-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შემოსავლის მიუღებლად ჩათვლისათვის, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1056-1011-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ზიანი ობიექტურად უნდა შეფასდეს და არა სუბიექტურად. ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. გარდა ამისა, ანაზღაურდება მხოლოდ მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 მაისის განმარტება საქმეზე №ას-197-184-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“, რომელიც არ იარსებებდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. შემოსავალი რომ მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-459-438-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სკ-ის 411-ე მუხლის მთავარი მაკვალიფიცირებელი ნიშანია ზიანის არსებობის ფაქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია აღნიშნული ნორმის გამოყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-307-291-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს სხვადასხვა სახის ზიანის ინსტიტუტს, მათ შორის, რეალურ ზიანსა და მიუღებელ შემოსავალს, კერძოდ, სკ-ის 411-ე მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ ეხება მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ინსტიტუტს, მიგვითითებს იმაზე, რომ ზიანი შეიძლება იყოს ფაქტობრივი ქონებრივი და ნაკლისი და მიუღებელი შემოსავალი. კონკრეტული სადავო ურთიერთობის ფარგლებში განმარტებას მოითხოვს ზიანი, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-457-433-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ზიანის ანაზღაურება არაძმონებრივი ზიანისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი

ჯანმრთელობის დაზიანება ზიანის მიმყენებლის ქმედებას მიზეზობრივად უშუალოდ და პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს. მოპასუხე პასუხისმგებელია ზიანზე, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბუნებრივი და თანმდევი შედეგია. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირს გააჩნია, ვისაც უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მიაღდა ჯანმრთელობის დაზიანება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 მაისის განმარტება საქმეზე №ას-113-108-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ გაცდილი სულიერი, ფიზიკური ტანჯვისა და ზიანის მიმყენებლის ბრალის გათვალისწინებით, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ მოქმედებაზე დამოკიდებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-866-816-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო და არა – ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-1156-1176-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

12. პირგასამტეხლო

პირგასამტეხლოს დაანგარიშება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე და 420-ე მუხლები

პირგასამტეხლო დაანგარიშებული უნდა იქნეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 28 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-164-160-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

პირგასამტეხლოს დაკისრება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლი

თუ პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შესრულების ვადის დარღვევისათვის, კრედიტორს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია, მოითხოვოს მისი დაკისრება, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა ვადაგადაცილებულ შესრულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 17 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1326-1346-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი

პირგასამტეხლო მხოლოდ მხარეთა ნებით შეიძლება იქნეს გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, თუმცა იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ დათქმას და მოვალის შესაგებლის არსებობის პირობებში სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით თანხის თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 4 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-914-864-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

პირგასამტეხლოს შემცირებისას, სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გაითვალისწინოს მხარეთა შორის სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, დათქმული პირგასამტეხლო, როგორც ერთგვარი „სანქცია“, რომელიც უნდა ესადაგებოდეს კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს, პირგასამტეხლოს დანიშნულებასა და ფუნქციას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 17 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-654-620-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-214-204-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სკ-ის 420-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების შესაძლებლობას. პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო ითვალისწინებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არა-ჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 13 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1199-1127-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-973-914-2012 01.11.2013; №ას-848-814-2016 28.12.2016; 2-2-2016 14.06.2016.

დაუშვებელია პირგასამტეხლოს დაკისრებით კრედიტორმა არათანაზომიერად დიდი სარგებელი მიიღოს. პირგასამტეხლოს ოდენობა არ არის შეუზღუდავი. სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი დავის კონკრეტული გარემოებების შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 25 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-921-960-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

13. ვალდებულების შეწყვეტა

13.1 ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით

ვალდებულების შესრულების მიღება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი

სასამართლოს თუ არ დაუდგენია, მხარეთა შეთანხმების არსებობა ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების თაობაზე, შეუძლებელია ვალდებულების მთლიანად შესრულების პრეზუმფციის გამოყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 24 მარტის განმარტება საქმეზე №ას-546-514-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ფულადი ვალდებულების თავისებურებიდან გამომდინარე, მისი შესრულება უნდა დასტურდებოდეს ისეთი სახის მტკიცებულებებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს თანხის გადახდის ფაქტზე, მაგალითად, ხელწერილით, თანხის გადარიცხვის დოკუმენტით და სხვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 15 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-988-1021-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ფულადი ვალდებულების თავისებურებიდან გამომდინარე, მისი შესრულება უნდა დასტურდებოდეს ისეთი სახის მტკიცებულებებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს თანხის გადახდის ფაქტზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 22 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-1090-1119-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების სპეციფიკისა და სამოქალაქო ბრუნვის თავისებურების გათვალისწინებით, თითოეული ხელშემკვრელი მხარე, ვალდებულების არსიდან გამომდინარე, თავადვე აგებს პასუხს იმ სამოქალაქო რისკის თაობაზე, რომელიც ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულების მოუპოვებლობას შეიძლება მოჰყვეს შედეგად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 31 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-1363-1381-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სკ-ის 429-ე მუხლით გათვალისწინებული შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი ადასტურებს მოვალის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ფაქტს და მოვალე აღარაა ვალდებული, დამატებით წარადგინოს ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 8 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1323-1343-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

კანონი ავალდებულებს კრედიტორს, მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა კანონის ასეთივე მოთხოვნა არ არის მოვალის მიმართ. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. ნორმაში მითითებული დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან მან მხოლოდ ამ დოკუმენტით შეიძლება, დაადასტუროს ვალდებულების შესრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 19 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1541-1547-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

13.2 ვალდებულების შეწყვეტა დავონიკებით

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლი

მოვალის მიერ ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე თნახის შეუტანლობას სამართლებრივად გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება, თუ მათ თანხა განათავსეს საერთო სასამართლოების ანგარიშზე, რითაც მკაფიოდ გამოხატეს შესრულების ნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 6 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1212-1138-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

13.3 ვალდებულების შეწყვეტა ვალის კატიებით

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლი

ვალის კატიება, რასაც შედეგად შეიძლება ვალდებულების შეწყვეტა მოჰყვეს, თავის მხრივ, ორმხრივი გარიგებაა სადაც გარკვევით უნდა აისახოს მხარეთა ნება, მიმართული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერობის შეწყვეტისაკენ. იგი ორმხრივი შეთანხმებაა და მიზნად უნდა ისახავდეს მატერიალური სამართლით რეგულირებული შედეგის მიღწევას – მიუღებელი შესრულებისაგან მოვალის გათავისუფლებას, ამასთან, ეს ნება არაორაზროვნად უნდა იყოს გადმოცემული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 1-ლი ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-1087-1018-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

13.4 ვალდებულების შეწყვეტა მოვალის გარდაცვალების გამო

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 453-ე მუხლი

იმგვარ შემთხვევაზე, როდესაც საბანკო დაწესებულება ითხოვს სესხის დაბრუნებას, სამოქალაქო კოდექსის 453-ე მუხლის პირველი ნაწილი ვერ გავრცელდება, ამ ვითარებაში ვალდებულება მოვალის გარდაცვალებით არ წყდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 30 აგვისტოს განმარტება საქმეზე №ას-461-435-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14. სახელშეკრულებო სამართალი

14.1 ნასყიდობა

14.1.1 ზოგადი დებულებანი

ელექტრონური ნასყიდობა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი

მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვისმა მოქმედებამ გამოიწვია აღრიცხვის კვანძის გაუმართაობა, ვინაიდან ელექტრონური მყიდველი ვალდებულია, გადაიხადოს მის მიერ ფაქტობრივად დახარჯული ელექტრონური ღირებულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-950-912-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საქონლის მიყიდვა რამდენიმე პირისათვის

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლი

თუ გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა, უპირატესობა ენიჭება იმ მყიდველს, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი, ხოლო, თუ საქონელი არცერთს არ გადასცემია, მაშინ - მას, ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დაიდო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-719-678-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

უფლებრივად უნაკლო ნივთი

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლი

კანონმდებელი ნივთის უფლებრივი ნაკლის არსებობას უკავშირებს ისეთ გარემოებას, როდესაც მესამე პირს გასასხვისებელი ნივთის მიმართ თავისი სანივთო ან ვალდებულებითი სახის უფლება გააჩნია. შესაბამისად, ნამდვილი მესაკუთრის უფლების რეალიზაცია იწვევს შემძენის უფლებათა შეზღუდვას, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს შეძენილ ნივთს და იმავდროულად წარმოშობს გამყიდველის პასუხისმგებლობის საფუძვლებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-24-22-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.1.2 ბამოსყიდვა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 509-ე მუხლი

გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის დადებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რაში იყენებს ნასყიდობის თანხას გამყიდველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-876-834-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.2 გაცვლა

უძრავი ქონების გასხვისების წესი;

სამკვიდრო ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულების ბათილობა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 521-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 322-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი

მამკვიდრებლის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის ხელშეკრულების დადება დასაშვებია ერთ-ერთი მათგანის კანონით სამემკვიდრეო წილისა და სავალდებულო წილის თაობაზე, ასეთი ხელშეკრულების ფორმა უნდა შეესაბამებოდეს უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ფორმას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულება ბათილი იქნება ფორმის დაუცველობის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-745-707-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.3 ჩუქება

ქონების უსასყიდლოდ გადაცემა;

სისხნი

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი

ჩუქების ხელშეკრულების დროს მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარეთა ნების განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმები;

სასესხო ურთიერთობის სადავობის შემთხვევაში, მხოლოდ თანხის გადაცემა კი არა, არამედ ის ფაქტობრივი გარემოებაც უნდა გამოვლინდეს, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესაა ჩუქების ხელშეკრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-6-6-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ჩუქების დაუშვებლობა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლი

სკ-ის 526-ე მუხლის მიზნებისათვის, ქონების გარჩევის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქონება არის გამჩუქებლის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების საარსებო წყარო და, თუ ერთადერთი საცხოვრებელი სახლის გარჩევის შემდეგ გამჩუქებელი, უხეშად რომ ითქვას, ქუჩაში აღმოჩნდა, მას ხელშეკრულების გაუქმება შეუძლია მოითხოვოს სკ-ის 530-ე და არა 526-ე მუხლის საფუძველზე. სკ-ის 526-ე მუხლი ეხება შემთხვევას, როდესაც, ქონების გარჩევის შემდეგ გამჩუქებელი შემოსავლის გარეშე რჩება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-257-247-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ჩუქების გაუქმება დასარუქრებულის უმაღურობის ბამო

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი

სკ-ის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასარუქრებულის არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძველს, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმაღურობა. აღნიშნულ უფლებას გააჩნია ხანდაზმულობის ვადა. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-62-59-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ჩუქების გაუქმება დასარუქრებულის უმაღურობის ბამო;

ბარუქრებული ნივთის ბამოთხოვა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი

დასარუქრებული, ჩუქების უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე, ვალდებულია, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდეს გამჩუქებლის მიმართ, მით უფრო მაშინ, როცა მათ ქორწინება აკავშირებთ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1011-954-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ბარუქრებული ნივთის ბამოთხოვა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი

შესაძლებელია, გამჩუქებელმა გარჩუებული ნივთი უკან გამოითხოვოს, მაგალითად, თუ გამჩუქებელი ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში, გარჩუებული ქონება მისი

ერთადერთი საცხოვრისია, ხანდაზმულია, საჭიროებს მოვლას და სხვა აუცილებელ დახმარებას; დასაჩუქრებულს ობიექტურად არა აქვს შესაძლებლობა, მატერიალური და სხვა სახის დახმარება გაუწიოს მას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-710-676-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ჩუქების ხელშეკრულების არსი ისაა, რომ დასაჩუქრებული პირი სანაცვლოდ რაიმე ვალდებულებას არ კისრულობს. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი ვალდებულებას კისრულობს მჩუქებლის მოვლა-პატრონობის თაობაზე, მაშინ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ეს არის თუ არა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-611-578-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.4 ძირაველობა

გაძირავებულ ნივთზე განეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 535-ე, 536-ე და 545-ე მუხლები

აუცილებელი ხარჯების დაკისრების საკითხის დადებითად გადასაწყვეტად, უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ნივთობრივი ნაკლი უნდა ექცეოდეს და გამქირავებელი იმყოფებოდეს ნაკლის გამოსწორების ვადის გადაცილების რეჟიმში ან დამქირავებლის მიერ არაუფლებამოსილი შესრულების ფარგლებში განხორციელებული აუცილებელი შესრულება უნდა შეესაბამებოდეს დაინტერესებული პირის (მეპატრონის) ინტერესსა და ნებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-444-419-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მიმდინარე რემონტის ხარჯები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 548-ე მუხლი

კანონმდებელი განსხვავებს დამქირავებლის მიერ მიმდინარე რემონტისა და არსებითი გაუმჯობესებისათვის განეულ ხარჯებს იმისდა მიხედვით, თუ დამქირავებელმა რა სახის, რა მასშტაბისა და ხასიათის სამუშაო შეასრულა, კერძოდ, მიმდინარე რემონტი ჩაატარა თუ ფართი არსებითად გაუმჯობესდა, რაც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს ადგენს ამ ხარჯების ანაზღაურებისათვის. ერთ შემთხვევაში, თუკი დამქირავებელმა მიმდინარე რემონტის ხარჯი გაიღო, ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ხოლო, მეორე შემთხვევაში, თუკი ჩატარებული სამუშაოები სცდება მიმდინარე რემონტის ფარგლებს და ამ სამუშაოთა შედეგად ქირავნობის საგანი არსებითად გაუმჯობესდა, ამისათვის განეული ხარჯები ექვემდებარება დამქირავებლის მხრიდან ანაზღაურებას, თუკი დამქირავებლის თანხმობით გაუმჯობესდა ფართი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-744-705-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.5 იჯარა

იჯარის ხელშეკრულების ცნება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლი

იჯარის ხელშეკრულების მახასიათებელი ნიშნებია გრძელვადიანი ორმხრივი შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულების მეორე მხარეს დროებით სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება და უზრუნველყოს ამ ურთიერთობის ფარგლებში ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, ხოლო მოიჯარე ვალდებულია, გადაიხადოს საიჯარო ქირა, რომელიც შეიძლება ნატურითაც იქნეს ანაზღაურებული. ამ ურთიერთობის საგანს წარმოადგენს განსაზღვრული ქონება, ასევე, მათგან გამომდინარე ქონებრივი უფლებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 13 მაისის განმარტება საქმეზე №ას-8-8-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაუზრუნველმობისას; მტკიცების ტვირთი

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 591-ე და 602-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი

საიჯარო ქონების დაზრუნვის დაყოვნების შემთხვევაში, მოთხოვნის წარმომშობი ფაქტის მითითება (სკ-ის 591-ე მუხლი) ევალუა მეიჯარეს, მაგრამ ამ ფაქტის უარყოფელი მტკიცებულების წარდგენა, სკ-ის 602-ე მუხლიდან გამომდინარე, ევალუა მოიჯარეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 1 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1203-1130-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა;

აუცილებელი კაპიტალური ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 598-ე მუხლი

მოიჯარეს შეუძლია, მოსთხოვოს მეიჯარეს განუული კაპიტალური ხარჯების ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონება ეკუთვნოდა მეიჯარეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 13 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-594-562-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.6 სქსსი

ხელშეკრულების ცნება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი

სესხის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფულის ან გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული სხვა ნივთის მსესხებლისათვის საკუთრებაში გადაცემა მსესხებლის მიერ იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთის დაბრუნების პირობით. როგორც წესი, სესხის ხელშეკრულების შინაარსში არ იგულისხმება ნასესხები თანხის მხოლოდ გამსესხებელთან შეთანხმებული პირობებით მოხმარება, თუმცა, სახელშეკრულებო თავისუფლების პირობებში ამგვარი შეთანხმებაც ვერ აიკრძალება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 27 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1300-1320-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასესხო ურთიერთობის სადავოობის შემთხვევაში, უნდა ვლინდებოდეს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესაა ჩუქების ხელშეკრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 1 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-6-6-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სქსსის ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი

მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების დადგენისათვის არაა საკმარისი მხოლოდ მოწმეთა არსებობა. უნდა დადგინდეს კრედიტორის მიერ მოვალისათვის თანხის გადაცემის ფაქტი და დამტკიცდეს ის გარემოება, რომ თანხა გადაეცა პირს სესხად (გადაცემის დანიშნულება).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 22 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-929-891-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სესხის ზეპირი ხელშეკრულების დასადასტურებლად საკმარისი არაა მოწმეთა ჩვენებები, საჭიროა სხვა ისეთი მტკიცებულების წარდგენა, რომელიც მოწმეთა ჩვენებასთან ერთობლივად, მაღალი ალბათობით დაადასტურებს სადავო ფაქტს სასესხო ურთიერთობის შესახებ;

სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია გამსესხებელს, ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი კი – მსესხებელს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 22 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-127-119-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში (სკ-ის 68-ე მუხლი), თუმცა უდავოა, რომ ფორმის არჩევის საკითხი მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს დათქმას თანხის მსესხებლისათვის გადაცემის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 20 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1245-1168-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასესხო ურთიერთობაში თანხის სესხად გადაცემის ფაქტის მტკიცების ტვირთი თანხის გამცემის მხარეზეა, რომელმაც, გარდა თავისი განმარტებისა, სხვა მტკიცებულებით დამაჯერებლად უნდა დაადასტუროს სესხის ხელშეკრულების დადება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 8 ნოემბრის განმარტება საქმეზე №839-890-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

პროცენტი სესხისათვის

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი (ძვ. რედ.)

სკ-ის 625-ე მუხლის ძვ. რედაქციის მიხედვით ბათილი იყო მხარეთა შეთანხმება სესხის პროცენტზე, თუ იგი შეუსაბამო იქნებოდა ეროვნული ბანკის მიერ იმ დროისათვის დადგენილ გონივრულ ზღვრულ ოდენობასთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 18 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-264-248-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.7 ნარდობა

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული
შესრულებული სამუშაოს მიღება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი

ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების (სკ-ის 629-ე-656-ე მუხლები) არცერთი დანაწესით კანონმდებელი იმპერატიულად არ აწესებს ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის შესაძლებლობას მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის გზით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 1-ლი დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-323-307-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი

მიახლოებით ხარჯთაღრიცხვისას, მენარდეს მხოლოდ მაშინ შეუძლია, მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება, თუ ამის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინებს შემკვეთს და ეს უკანასკნელი თანახმა იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად გადახარჯვის ანაზღაურებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-888-834-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები;

ხელშეკრულების მისაღება შეცვლილი გარემოებებისადმი

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი

მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდე გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნისას ვერ დაეყრდნობა სკ-ის 631-ე მუხლს, ვინაიდან ეს ნორმა განსაზღვრავს მიახლოებითი და არა მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას, მიუხედავად მისი გადასინჯვის მოთხოვნის მიზეზისა;

მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თუ მენარდე ამ უფლებით არ ისარგებლებს და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მაისის განმარტება საქმეზე №ას-226-213-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 632-ე მუხლი

მომსახურების მიღება შეუძლებელია, დაკავშირებული იყოს განუჭვრეტად რისკთან. მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-1-1-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ხელშეკრულების მოშლა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი

სკ-ის 636-ე მუხლით გათვალისწინებულია არა ხელშეკრულების მოშლის წინამძღვრები, არამედ, ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში, გამაწონასწორებელი სამართლებრივი დაცვითი მექანიზმის სახით დადგენილი შემკვეთის ვალდებულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-697-663-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სკ-ის 636-ე მუხლი ადგენს შემკვეთის უფლებას, უპირობოდ, სამუშაოების დასრულებამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-901-851-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სკ-ის 636-ე მუხლით კანონმდებელი არ ანებს შემკვეთისათვის ხელშეკრულების მოშლის წინამძღვრებს, არამედ, ნორმის გამოყენების შემთხვევაში, გამაწონასწორებელი სამართლებრივი დაცვითი მექანიზმის სახით, ადგენს შემკვეთის ვალდებულებას, ანუ განსაზღვრავს, თუ რა უნდა აუნაზღაურდეს მენარდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-700-670-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოსათვის საზღაურის გადახდის ვალდებულება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 648-ე მუხლი

სასამართლომ მომსახურების ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტად შეიძლება, მიიჩნიოს ნებისმიერი დოკუმენტი (თუნდაც ელექტრონულად გაფორმებული ანგარიშგაქტურა), სადაც ასახული იქნება მომსახურების საფასური.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-549-521-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამუშაოს მიღება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლი

თუ მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს საზღაურის გადახდას ნივთის გადაცემამდე, დამატებითი მოთხოვნის უფლების შესაძლებლობა ამ ვალდებულებაზე გავლენას არ ახდენს. შემკვეთმა, შესრულების ნაკლის გამო, მოთხოვნა შეიძლება, წარადგინოს ერთი წლის მანძილზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1-ლი ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-184-177-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.8 გადაზიდვა-გადაყვანა

გამგზავნის უფლებები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 680-ე მუხლი

მიუხედავად გამგზავნის ფაქტობრივი ბატონობიდან ნივთის გასვლისა, იგი კვლავ მის არაპირდაპირ მფლობელად გვევლინება და, შესაბამისად, გადაზიდვის ობიექტის ბედი კვლავ გამგზავნის ნების არეალშია მანამ, ვიდრე ნივთზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ზედნადები მიმღებს არ გადაეცემა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 23 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-569-544-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ტვირთის დანიშნულების აღბილზე მიტანა

- „საქართველოს სარკინიგზო კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი

შემკვეთის კუთვნილი ტვირთი დანიშნულების აღბილზე დადგენილ ვადაში მიტანილად ითვლება, თუ დანიშნულების რკინიგზის სადგურში ტვირთის (ვაგონის, კონტეინერის) მიწოდება დაყოვნებულია ტვირთმიმღების მიზეზით (დაკავებულია მისი კუთვნილი სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგი, ტერმინალში არ გააჩნია თავისუფალი სათავსი და სხვა) ან, დანიშნულების რკინიგზის სადგურის ლიანდაგის დაკავებულობის გამო, როდესაც რკინიგზა იძულებულია, ტვირთი გააჩეროს გზად მდებარე სადგურში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 13 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1224-1244-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.9 დავალეხის ხელშეკრულება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი

დავალეხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 8 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-431-414-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.10 შუამავლობა

შუამავლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 744-ე მუხლი

შუამავლობის შედეგად შესაძენი ქონების მონაცემები სრულად უნდა შეესაბამე-

ბოდეს შუამავლობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 5 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-522-495-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.11 დაზღვევა

სადაზღვევო შესატანის გადახდა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლები

სამოქალაქო კოდექსის 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლები არ არის იმპერატიული და ცალსახად არ ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობას, კანონმდებელი 817-ე და 818-ე მუხლებით ადგენს მზღვეველის უფლებას, შესაბამისი ფორმით განსაზღვროს პრემიის გადახდის დამატებითი ვადა, ასევე, კანონით დადგენილი ფორმის დაცვით მოშალოს ხელშეკრულება, თუმცა მზღვეველის მიერ ამ უფლების გამოუყენებლობა, მისი, როგორც ხელშეკრულების მხარის, არაკეთილსინდისიერად მიჩნევის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 9 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1708-1602-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სადაზღვევო ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდის გამო

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 817-ე და 818-ე მუხლები

მზღვეველი, რომლის მიმართაც არ სრულდება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, თუ წერილობით არ გააფრთხილებს დამზღვევეს მოსალოდნელ შედეგებზე, იგი კარგავს სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას სახელშეკრულებო ურთიერთობის ამოწურვის შემდეგ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 3 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1308-1246-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დაზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლი

ხელშეკრულების მხარეები, თუ პირდაპირ არ შეთანხმდებიან დამზღვევის ბრალით სადაზღვევო შემთხვევისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ, უნდა მონესრიგდეს სკ-ის 829-ე მუხლით, რომელიც განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით შემთხვევისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას გამოორიცხავს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 30 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1319-1257-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისგან

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი

სკ-ის 832-ე მუხლი ითვალისწინებს მზღვეველზე იმ მოთხოვნის უფლების გადასვლის შესაძლებლობას, რაც გააჩნია დამზღვევეს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ. ამ შემთხვევაში მზღვეველი ცვლის ზიანის მიმყენებლის მიმართ მოთხოვნის უფლების მქონე დამზღვევეს. მოთხოვნის დათმობით არ იცვლება არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც შესაბამისი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-581-549-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.12 საბანკო მომსახურება

ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვადამდე დაბრუნებისათვის

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლი

მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ბანკს აძლევს საშუალებას, მოითხოვოს, როგორც მიყენებული ზიანის, ისე მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება. კონკრეტული საპროცენტო განაკვეთი მოქმედებს, მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც ფულადი რესურსი ბანკის სარგებლობაში არ იმყოფება. იმ მომენტიდან, როდესაც სესხის თანხა კრედიტის გამცემს უბრუნდება, მიუღებელი შემოსავალი აღარ არსებობს, რადგან კრედიტორს სრული შესაძლებლობა აქვს, სხვაგვარად განკარგოს ეს თანხა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1586-1585-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

გარანტიის მიერ პრინციპალის კრედიტორისათვის (ბენეფიციარისათვის) ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე და 885-ე მუხლები

გარანტს პრინციპალის კრედიტორისათვის (ბენეფიციარისათვის) ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება წარმოეშობა, თუ ბენეფიციარის მოთხოვნა აკმაყოფილებს კანონით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს: ა. წარდგენილია გარანტიაში მითითებული დოკუმენტები; ბ. მითითებულია ის, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია; გ. დაცულია მოთხოვნის წარდგენის ვადა, ანუ მოთხოვნა წარდგენილია გარანტით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-1058-992-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

გარანტიის უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლი

ვადის უკანასკნელ დღეს შეტყობინების ფოსტის მეშვეობით გაგზავნის რისკის მატარებლად ნების გამომვლენი მიიჩნევა და არა ნების ადრესატი. საბანკო გარანტი თავისუფლდება საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ თანხის ანაზღაურების მოთხოვნა ბენეფიციარმა ფოსტას გადასცა ხელშეკრულების მოქმედების ვადის უკანასკნელ დღეს და ნება გარანტს მიუვიდა საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1-ლი ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-1595-1498-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ფულის გადახდა ბენეფიციარისათვის განსაზღვრება საბანკო გარანტიის პირობებით. გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1-ლი ივლისის განმარტება საქმეზე №ას-1353-1277-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

გარანტიის ვალდებულების შეწყვეტა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლი

გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება: ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია, გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა ან ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1303-1229-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.13 ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების აუცილებელი წინაპირობაა, რომ ამხანაგობა ყალიბდება იურიდიული პირის შეუქმნელად. საერთო მიზნის არსებობა გარიგების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს, ამიტომ ამხანაგობის თითოეული წევრი მონაწილეობს, როგორც გარიგების დამოუკიდებელი მხარე და იმის გათვალისწინებით, რომ ამხანაგობა არ იძენს იურიდიული პირის სტატუსს, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების დამყარებისას წარმოშობილ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ამხანაგობის თითოეულ წევრს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2016 წლის 21 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-803-758-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ამხანაგობის ხელშეკრულება, როგორც კონკრეტული მიზნის მისაღწევად პირთა გაერთიანებაზე აგებული ხელშეკრულება, მოითხოვს ნევრებისაგან ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებსაც ახასიათებს სხვადასხვა ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2014 წლის 28 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-885-831-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლი

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურებაა წარმოადგენს მხარეთა სურვილი, საკუთარი ქონების, გამოცდილებისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების გაერთიანებით, ერთობლივად იმოქმედონ გარკვეული მიზნების მისაღწევად, ამასთან ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების აუცილებელი წინაპირობაა, რომ ამხანაგობა ყალიბდება იურიდიული პირის შეუქმნელად. საერთო მიზნის არსებობა გარიგების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს, ამიტომ ამხანაგობის თითოეული წევრი მონაწილეობს, როგორც გარიგების დამოუკიდებელი მხარე და იმის გათვალისწინებით, რომ ამხანაგობა არ იქნეს იურიდიული პირის სტატუსს, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების დამყარებისას წარმოშობილ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ამხანაგობის თითოეულ წევრს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 21 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-803-758-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

უარი ერთობლივი ამხანაგობის ხელშეკრულებაზე

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლი

სკ ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გასვლისას სპეციალურ წესებს ითვალისწინებს 938-ე მუხლში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 8 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-1677-1573-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ამხანაგობის კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნამდვილობა

- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-10 მუხლები

იმისათვის, რომ ამხანაგობის კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება (მრავალმხრივი გარიგება) ჩაითვალოს დადებულად, ერთ შემთხვევაში საკმარისია ბინათ-

მესაკუთრეთა ამხანაგობის წევრების ხმების 2/3, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება. ორივე შემთხვევაში აუცილებელია, ამხანაგობის ყველა წევრს ეცნობოს კრების ჩატარების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 25 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1372-1209-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვა;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მოვალეობები;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდება;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრება

- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, 21-ე და 23-ე მუხლები

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის გამგეობის, როგორც ასეთი ორგანოს, არსებობას კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა, კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე (დაშვებულია, რაც აკრძალული არ არის კანონით, სკ-ის მე-10 მუხლი), ამხანაგობას შეუძლია, შექმნას ნებისმიერი სხვა ორგანო, გარდა კანონით გათვალისწინებულისა, ოღონდაც იმ პირობით, რომ ეს არ შეაფერხებს და არ გამოიწვევს კანონით გათვალისწინებული ორგანოების – წევრთა საერთო კრებისა და თავმჯდომარის ფაქტობრივ გაუქმებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 26 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1046-986-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების
არსებითი სახეცვლილება

- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 10.1 და 6.5 მუხლები

დასახელებული ნორმები ადგენს იმპერატიულ მოთხოვნას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების არსებითი სახეცვლილების, ასევე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი კიბის უჯრედებისა და კიბეების სარგებლობაში გადაცემის შესახებაც კი გადაწყვეტილება ამხანაგობამ მიიღოს მისი ყველა წევრის თანხმობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 12 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1246-1096-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

14.14 სამისდღეობი რჩენის ხელშეკრულება

ხელშეკრულების ფორმა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 942-ე მუხლი

სკ-ის 942-ე მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემა იურიდიული ძალის მქონეა მხოლოდ მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-185-178-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

15. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

15.1 საზიარო უფლებები

პასუხისმგებლობა თანასაკუთრებით
სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთისას

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლი

თანასაკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის, ასევე, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე წარდგენილ პრეტენზიაზე პასუხისმგებელი შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალოდ ხელმყოფი, ანუ პირი, რომლის ქმედების უშუალო შედეგსაც წარმოადგენს მესაკუთრის გარანტირებული უფლების ხელყოფა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-603-578-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

წილთა თანაბრობა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლი

საზიარო უფლების გაუქმებისას, მნიშვნელობა ენიჭება არა მხარეთა მფლობელობაში არსებული ფართების პროპორციულად გაყოფის წესს, არამედ – მოდავე მხართა შორის საჯარო რეესტრში არსებული თანასაკუთრების წილობრივ მონაცემებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-470-444-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საზიარო საბნის მართვა;

საერთო საკუთრება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 956-ე და 173-ე მუხლები

საცხოვრებელი ფართი ვერ იქნება მიჩნეული საზიარო საგნად, თუ თითოეულ მე-საკუთრეს დაკავებული აქვს საკუთარი ფართი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 5 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1085-1016-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საზიარო საბნის ბანკარბვის წესი

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 959-ე მუხლი

საზიარო საგნის განკარგვისთვის საჭიროა ყველა მონილის თანხმობა, თანხმობა საჭიროა არაა მხოლოდ წილის განკარგვისას. ასეთი თანხმობის გარეშე საზიარო საგნის განკარგვა კანონსაწინააღმდეგოა, რაც შესაძლებელია, გარიგების ბათილობის საფუძველი გახდეს;

ერთ-ერთი მონილის თანხმობის არარსებობა გამოიწვევს არა მთლიანად გარიგების, არამედ მისი იმ ნაწილის ბათილობას, რომელიც ამ კონკრეტული მონილის წილს ეხება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 27 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-148-138-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი

საზიარო უფლება, როდესაც უქმდება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ანუ დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე – საერთო საკუთრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2014 წლის 31 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-67-65-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-709-672-2013 15.06.2015.

დაუშვებელია საკუთრების უფლების ისეთი შეზღუდვა, რომლითაც ისპობა საკუთრების სუბსტანცია. ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც გაყოფამდე ასრულებდა, ე.ი არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 25 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1343-1381-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას;

საზიარო უფლების გაუქმება საბნის გაყიდვით

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე და 964-ე მუხლები

საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ა. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება, დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; ბ. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. დასახელებული ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის დანიშნულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1148-1094-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

15.2 უსაფუძვლო გამდიდრება

კრედიტორის ვალდებულების შეწყვეტა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი

სესხის არამიზნობრივად დახარჯვის მომენტიდან კრედიტორი აღარაა ვალდებული, არამიზნობრივად დახარჯული სესხით სარგებლობის უფლება მისცეს მოვალეს ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე. შესაბამისად, ამ საფუძვლით, კრედიტორის ვალდებულება წყდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1165-1111-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სკ-ის 976-ე მუხლით წესრიგდება ისეთი შემთხვევები, როდესაც სრულდება ფაქტობრივად არარსებული ვალდებულება, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-135-131-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-294-281-2015 26.11.2015.

ვითომ-კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები;

ვალდებულების გარეშე გადახდილის გამოთხოვნის წესი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლი

როდესაც ვლინდება ფულადი ვალდებულების შესრულება ვალდებულების არსებობის გარეშე, რითაც გაიზარდა ქონება, მაშინ შესაძლებელია, ვალდებულება

ბის გარეშე გადახდილის უკან გამოთხოვა უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 4 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-528-501-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები;

უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები;

სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები;

მისამდე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე, 979-ე, 982-ე და 989-ე მუხლები

მხოლოდ იმის დადგენა, რომ ქონებრივი გადაადგილება განხორციელდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არ არის საკმარისი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. აუცილებელია იმის დადგენაც, ამის შედეგად გამდიდრდა თუ არა მოპასუხე, ანუ ამ გადაადგილებით გაიზარდა თუ არა მისი ქონება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 31 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1193-1122-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შესრულების კონდიცია

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე და 979-ე მუხლები

უსაფუძვლო გამდიდრების საკითხის მარეგულირებელი არცერთი ნორმა არ ადგენს კრედიტორის უფლებადამცავ იმგვარ დანაწესს, რომელიც ქონებრივი წონასწორობის აღდგენას კრედიტორის სუბიექტური ინტერესის შესაბამისად დაადგენდა, შესრულების კონდიციის მიზანი უსაფუძვლოდ გადაცემულის დაბრუნებაა და კომპენსაცია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ობიექტური წინაპირობების არსებობისასა და დასაშვები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 22 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-344-329-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილი

თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო, მაშინ მიმღებმა უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 27 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1237-1087-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლი

სკ-ის 980-ე მუხლი გამოიყენება მაშინ, თუ მიმღებმა განია ხარჯები ან მას წარმოეშვა ქონებრივი დანაკლისი იმასთან დაკავშირებით, რომ საგანი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნდა, მაშინ იგი მოვალეა, დააბრუნოს საგანი ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების პირობით. ეს წესი არ გამოიყენება, როცა გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შეძენილად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 31 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-1245-1265-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამართლებრივ სიკეთეთა უსაფუძვლო გადანაცვლების შედეგად ქონებრივი წონასწორობის აღდგენას კანონმდებელი უკავშირებს ფულად ანაზღაურებას, რომელიც განისაზღვრება მფლობელის (დაზარალებულის) მიერ ფაქტობრივად განეული დანახარჯებით გამოწვეული გამდიდრებით და არა ამ დანახარჯების საფუძველზე განხორციელებული გაუმჯობესების საბაზრო ღირებულებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-318-303-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ფულად ვალზე პროცენტის ბადახდა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლი

ისეთი ქონების მიღების დროს, როგორცაა ფული, მისმა მიმღებმა უნდა დაადასტუროს, რომ ამ ქონებამ მას რაიმე სარგებელი არ მოუტანა, რაშიც მას ბრალი არ მიუძღვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ შესაძლებელი იყო, ფულად სახსრებს მოეტანა მიმღებისათვის სარგებელი, რაც მან ბრალეულად არ მიიღო მისი არასათანადო გაძღოლის შედეგად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 11 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-188-177-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი

პირის მიერ სხვისი ქონების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ვალდებულია, აუნაზღაუროს მას მიყენებული ზიანი. ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 5 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-472-448-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სსვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები;

უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლებში;

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი

სსვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით მიყენებული ზიანი გულისხმობს მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურებას, რაც მოიაზრებს არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ გამდიდრებასთან გათანაბრების შემთხვევას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 22 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-445-420-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სსვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები;

დელიქტური ვალდებულებაები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი

როდესაც პირს სსვის მიერ მისი ნივთით სარგებლობისას ადგება ზიანი, მას უფლება აქვს, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება არა დელიქტური სამართლისგნორმებით, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით, კერძოდ კი – სკის 982-ე მუხლით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 25 მაისის განმარტება საქმეზე №ას-838-796-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 983-ე მუხლი

კანონმდებელი აღნიშნული ნორმის გამოყენებისათვის სავალდებულოდ მიიჩნევს შესრულების მიღების ნამდვილობის დადგენას, რადგანაც კანონისმიერი ან ვალდებულებებითი ურთიერთობის ძირითადი საფუძველი არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღებაა, რაც მსგავსად ვინდიკაციური სარჩელისა, არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული შესრულების უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნების უალტერნატივო წინაპირობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მითითებული გარემოება უტყუარად არ იქნება დადგენილი, სამართლებრივი ურთიერთობის უსაფუძვლო გამდიდრებად კვალიფიკაციის წინაპირობა არ იარსებებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 3 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-348-331-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შეცდომით სხვისი ვალუბის ბასტუმრება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 986-ე მუხლი

სკ-ის 986-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, დადგინდეს, რომ არსებობს სხვისი ვალი და იგი არა მოვალემ, არამედ მესამე პირმა გაისტუმრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1069-1022-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შეცდომით ხარჯების ბანევა სხვა პირის ქონებაზე

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი

სხვა პირის ქონებაზე შეგნებულად ან შეცდომით განეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა, მართო ხარჯის განევა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას. გამდიდრების ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ მომენტისათვის, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-711-666-2010 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლი

თუ ერთი თანამესაკუთრე მთლიანად ასხვისებს ქონებას, ეს არ ნიშნავს, რომ მეორე თანამესაკუთრე კარგავს საკუთრების უფლებას თავის კუთვნილ წილზე. ამ შემთხვევაში ესაა კონდიქციური ვალდებულება და პირს, რომლის წილიც უკანონოდ იქნა გასხვისებული, შეუძლია, აღიდგინოს საკუთრების უფლება ქონებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-1206-1151-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია, დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექნას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე, ასევე, აუცილებელია, გამდიდრება სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე იზრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განმარტება საქმეზე №ას-184-171-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

16. დელიქტური ვალდებულებანი

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი

სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 26 აგვისტოს განმარტება საქმეზე №ას-155-151-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

პირის კანონით დაცული უფლების მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით დარღვევისათვის მიყენებული ზიანის, მათ შორის, სანივთო უფლების ხელყოფით გამოწვეული ზიანის დაკისრებისათვის აუცილებელია, დადგინდეს ოთხი წინაპირობის არსებობა: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის;

მოსარჩელის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობის დაუდასტურებლობა გამორიცხავს ზიანის დაკისრების სამართლებრივ შესაძლებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 14 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-73-63-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი

დელიქტურ ვალდებულებებზე პასუხისმგებელ სუბიექტებს წარმოდგენს არა მხოლოდ შემსრულებელი, არამედ ისიც, ვინც შემსრულებელი დაიყოლია ან მისი ხელისშემწყობი იყო, აგრეთვე, ისიც, ვინც სხვისთვის მიყენებული ზიანით შეგნებულად ისარგებლა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 21 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-857-821-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-237-222-2014 25.09.2015; №ას-638-605-2014 22.04.2016.

დელიქტური ვალდებულების არსი ისაა, რომ იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სახელშეკრულებო ვალდებულება. როდესაც პირი მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვს სახელშეკრულებო ნორმით, დაუშვებელია დელიქტური ნორმების გამოყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 30 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-938-900-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად
დამღბარი ზიანის ანაზღაურება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი

სკ-ის 999-ე მუხლი ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან განსხვავებულ – სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის ისეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, როდესაც მისი დაკისრებისათვის ბრალეულობა სავალდებულო არ არის. ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი გამოყენება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 4 მარტის განმარტება საქმეზე №ას-811-762-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სატრანსპორტო საშუალების იურიდიული მფლობელი, მიუხედავად იმისა, მართავს თუ არა ის ამ საშუალებას, პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე, თუ ზიანი მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგია. ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი გამოყენება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 26 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-1184-1129-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სატრანსპორტო საშუალების მფლობელი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან თავად დაზარალებულის განზრახვით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია, როგორც პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, ისე, ზიანის ანაზღაურების ოდენობის შემცირება. ასეთ შემთხვევებში თავად დაზარალებულის ბრალია გამოსაკვლევია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 10 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1657-1554-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

პასუხისმგებლობა მომეტაბული საფრთხის წყაროდან გამომდინარე
მიყენებული ზიანისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის მე-2 ნაწილი

სკ-ის მე-1000 მუხლი ნებადართული საფრთხისათვის პასუხისმგებლობის საფუძველს ქმნის. ამ მუხლის მეორე ნაწილი გულისხმობს ნებისმიერ ისეთ ნივთს, რომელიც თავისი თვისებებით მომეტებული საფრთხის შემცველია. საფრთხე მომეტებულიად უნდა ჩაითვალოს, თუ ის ქმნის ზიანის მიყენების მაღალ ალბათობას ადამიანის მიერ მასზე სრული კონტროლის შეუძლებლობის გამო. ვინაიდან პოტენციური საფრთხის წყაროების გამოყენება სამართლებრივად ნებადართულია, კომპენ-

საციის სახით, უფრო მკაცრია იმ პირის პასუხისმგებლობა, ვინც ასეთი საგნების მოხმარებით საფრთხის წყაროს ქმნის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 24 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-40-37-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი

სკ-ის 1006 მუხლის საფუძველზე, საწარმომ – ზიანის მიმყენებელმა სარჩოს მიცემის ვალდებულება უნდა შეასრულოს მანამდე, ვიდრე საწარმოს ბრალით დაზარალებული თანამშრომელი იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფნი, ანუ ეხადა სარჩო სარჩენი პირებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 3 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1216-1141-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული მარჩენალი, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება სკ-ის 1006-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 22 განმარტება საქმეზე №ას-789-746-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ვადა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი

დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 1-ლი ივლისის განმარტება საქმეზე №ას-247-237-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დაწყების წინაპირობაა დაზარალებულის მიერ ზიანის შესახებ პოზიტიური ინფორმაციის ფლობა, მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო მოთხოვნასთან მიმართებით, ხანდაზმულობის ვადის დინების დაწყებისათვის საკმარისია დაზარალებულის მიერ ასეთი ინფორმაციის ცოდნის სუბიექტური შესაძლებლობა („უნდა სცოდნოდა“).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 5 მაისის განმარტება საქმეზე №ას-758-719-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

17. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი

17.1 განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე

რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენება

- „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი

დაუშვებელია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების იდენტური ან აღრევამდე მიმსგავსებული სასაქონლო ნიშნების გამოყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 3 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1329-1349-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

გომგრაფიული სახელის რეგისტრაცია

- „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი

გეოგრაფიული სახელის კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაცია არ ანიჭებს მის მფლობელს უფლებას, აუკრძალოს მესამე პირს ამ სახელწოდების გამოყენება სამოქალაქო ბრუნვაში, თუ ამით არ ირღვევა კეთილსინდისიერი კონკურენციის ნორმები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 26 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-471-445-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაცვის უზრუნველყოფა

- „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შემთხვევაში, სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, ხოლო, თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურებაც კი. აქედან გამომდინარე, ამ უკიდურესი ზომის გამოყენებისათვის აუცილებელია, არსებობდეს ისეთი შემთხვევა, რომელიც მიუთითებს სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევების შეუძლებლობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 1 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1285-1223-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

17.2 გამომგონება

გამომგონების ეფექტურობის დადგენა

- „საქართველოს საპატენტო კანონის“ მე-12, მე-13, 48-ე და 53-ე მუხლები

სასარგებლო მოდელის ან გამოგონების ეფექტურობა დასტურდება პატენტის მემ-

ვეობით და არა სასამართლოს მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 1 აგვისტოს განმარტება საქმეზე №ას-152-146-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

17.3 საავტორო უფლების დაცვა

რეპუტაციის პატივისცემის უფლება

- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ„ საქართველოს კანონის 17.1 და 59-ე მუხლები

რეპუტაციის პატივისცემის უფლება ავტორის კანონით აღიარებული ის განსაკუთრებული უფლებაა, რომელიც უპირობო დაცვას ექვემდებარება. საავტორო უფლების მფლობელს უფლება აქვს, დამრღვევისაგან მოითხოვოს უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 11 მარტის განმარტება საქმეზე №ას-924-874-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან დადებული სალიცენზიო ხელშეკრულების გარეშე მუსიკალური ნაწარმოების კაპელით გადაცემის აპრძალვა

- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი და 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი

ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ტერმინი – „ნებისმიერი სახით გამოყენება“ გულისხმობს ნაწარმოების ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გამოყენებას. ნაწარმოების გამოყენების ერთ-ერთ სახე კაპელით გადაცემაა;

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს პრეზუმფციას, რომლის თანახმად, ივარაუდება, რომ კოლექტიური მართვის ორგანიზაცია უფლებამოსილია, წარმოადგინოს რეპერტუარში შემავალი ნაწარმოებებისა და მომიჯნავე უფლებების მფლობელები და დაიცვას მათი უფლებები. აღნიშნული პრეზუმფცია მოქმედებს იქამდე, სანამ მოსარგებლე არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს, ე.ი მიუთითებს ფაქტებზე, რომლითაც დასტურდება, რომ კონკრეტული ნაწარმოები ან მომიჯნავე უფლებების ობიექტი არ შედის მის რეპერტუარში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 14 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1217-1068-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1219-1070-10 24.02.11; №ას-762-713-2010 17.01.11; №ას-1029-965-2010 07.03.11; №ას-1010-947-10 01.04.10.

მუსიკალური ნაწარმოების კაპელით ტრანზიტი;
მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები

- „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტი

მუსიკალური ნაწარმოების კაპელით ტრანზიტი წარმოადგენს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, საქართველოს კანონით დაცვის ობიექტს. ასეთი სახით ნაწარმოების გამოყენებისათვის აუცილებელია ავტორის ან საავტორო უფლების მფლობელის ნებართვა;

იმისათვის, რომ მონაცემთა ბაზა საავტორო უფლების ობიექტად იქნეს მიჩნეული, იგი უნდა იყოს მასალის შერჩევისა და განლაგების ინტელექტუალური საქმიანობის შედეგი. მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დაცვის ობიექტს წარმოადგენს მონაცემთა ბაზაში მასალის ორიგინალური შერჩევა და განლაგება და არა მასში შემავალი ინფორმაცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1210-1139-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

18. საოჯახო სამართალი

18.1 მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

მეუღლეთა თანასაკუთრება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი

მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რომ ნივთებზე, რომლებიც შექენილია ქორწინების პერიოდში საკუთარი სახსრებით, არ წარმოიშობა თანასაკუთრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-290-276-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ურთიერთშეთანხმებით

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი

დაზარალებულ მეუღლეს უფლება, აქვს მოითხოვოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი მაშინაც კი, როდესაც შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. სარგებელს წარმოადგენს ის აქტივი, რაც მიიღო მეუღლემ და, რომლის ნახევრის მიღების უფლება აქვს მეორე მეუღლეს, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლემ ამით მიიღო ზიანი (გაეზარდა პასივი), მას, ასევე შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაზედაც დამატებით უნდა მიუთითებდნენ შესაბამისი ფაქტები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2013 წლის 11 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1136-1067-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

არასრულწლოვანი შვილების
ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლი

ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გაიზარდოს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, შრომისუუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. აღნიშნული საფუძვლით სასამართლოს შეუძლია, თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც თითოეულმა შეიძინა ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან ცალ-ცალკე ცხოვრების დროს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 23 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1006-967-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლი

სკ-ის 1170-ე მუხლის მე-3 ნაწილის განხორციელების წინაპირობის არარსებობა, არ გამორიცხავს ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 16 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-927-877-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

18.2 მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე, 1198-ე, 1201-ე და 1202-ე მუხლები

სასამართლოს განსახილველია არა მშობლის უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს საკუთარ შვილთან და ნახოს იგი, არამედ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი, ოჯახური გარემოს ჰარმონიული აღქმისა და აღზრდა-განვითარებისათვის ყველა პირობა ჰქონდეს, რათა კონტაქტი არ დაიკარგოს მშობელთან, მიუხედავად მშობლების დაშორებისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 6 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1149-1081-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-669-630-2011 11.10.2011.

ბავშვის ინტერესების დაცვა;

ბანქორნინებული ან ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1199-ე 1202-ე მუხლები

მშობლების ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრასთან დაკავშირებული დავების განხილვისას სასამართლოსათვის, უპირველესად, სახელმძღვანელოა ბავშვის კეთილდღეობა და მისი უპირატესი ინტერესი. სადავო საკითხის გადწყვეტისას, სასამართლომ ზედმინევით უნდა შეისწავლოს გარემო, სადაც ბავშვი ცხოვრობს და სადაც მას ურთიერთობა უნდა ჰქონდეს თითოეულ მშობელთან, არასრულწლოვნის ჯანმრთელობა, მისი ასაკი და ინდივიდუალური მოთხოვნილებები, რის შედეგადაც შესაძლებელია, გადაწყდეს, რამდენი ხნით და რა წესით უნდა დაერთოს მშობელს შვილთან ურთიერთობის (მეორე მშობლისაგან დამოუკიდებლად სახლში წაყვანის, ღამით დატოვებისა და სხვ.) ნება. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორიც, ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, მის მიერ არსებული ვითარების აღქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის განმარტება საქმეზე №ას-888-838-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

არასრულწლოვანი შვილების

საცხოვრებელი ადგილი მშობლების ბანქორნინებისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლი

არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ბავშვის ასაკზე, მშობლების ზნეობრივ და სხვა პირად თვისებებზე, ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობაზე, ბავშვის აღზრდაზე, განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის შესაძლებლობაზე, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების ოჯახურ მდგომარეობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-1062-996-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

როდესაც საკითხი სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმინევით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ქეშმარიტი ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1112-1047-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არა მშობლების, არამედ ბავშვის ინტერესებს. კანონი არ ადგენს რაიმე პრეზუმფციას დედის ან მამის სასარგებლოდ. სასამართლო დავის გადწყვეტისას, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, არკვევს, თუ რომელ მშობელს შეუძლია, უკეთ უზრუნველყოს ბავშვის აღზრდა, რაც მხოლოდ საბინაო-საყოფაცხოვრებო და მატერიალურ პირობებზე არ არის დამოკიდებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-904-944-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს უფლებაა, გადწყვიტოს განქორწინებულ მეუღლეთა შორის დავა არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რა დროსაც უთუოდ მოქმედებს ორივე მშობლის თანასწორობის პრინციპი, თუმცა სასამართლოსათვის, უპირველესად, გასათვალისწინებელია თავად ბავშვების ინტერესი და ნება სადავო საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-211-204-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ბავშვის გადაცემა

– „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენცია

მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არაა, გასცეს განკარგულება ბავშვის თაობაზე, თუკი პირი, დანესებულება ან სხვა ორგანო, რომელიც მის დაბრუნებას ეწინააღმდეგება, დაადგენს, რომ არსებობს იმისი სერიოზული რისკი, რომ მისი დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის, ან სხვაგვარად ჩააყენებს აუტანელ მდგომარეობაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 აგვისტოს განმარტება საქმეზე №ას-1809-1783-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

18.3 საალიმენტო მოვალეობანი

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლი

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს, როგორც მშობლების, ისე – შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას, რის შედეგადაც დაადგენს ალიმენტის ობიექტურ ოდენობას, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რეალურ და აუცილებელ მოთხოვნილებებს. სადავო ალიმენტის ოდენობაზე გავლენას ვერ მოახდენს მხარის მიერ ყოველთვიურად კრედიტის დასაფარად დადგენილი გადასახადის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2012 წლის 24 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1299-1266-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ალიმენტვალდებულის უმუშევრობა, თუ ეს არაა გამონვეული ავადმყოფობით ან სხვა საპატიო მიზეზით, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლომ უარი თქვას არასრულწლოვანის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზე და არ დაავალდებულოს მშობელი, გადაიხადოს ალიმენტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 27 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-58-49-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მშობლების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას – იმ შემოსავლებსა და ქონებრივ მდგომარეობას, რაც მათ გააჩნიათ სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიმენტის დაკისრების მომენტში და არა იმას, თუ როგორი იყო მათი მატერიალური შესაძლებლობა წარსულში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 10 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-675-641-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ალიმენტის ოდენობის შემცირება უფლებამონაცვლეობის დაღვივნისას

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1221-ე მუხლი

ალიმენტის შემცირების საფუძველი არ შეიძლება გახდეს მისი გადამხდელის სასესხო დავალიანების არსებობა და არც მის მიერ ახალი ვალდებულებების აღება – ალიმენტის შემცირების უპირობო საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2014 წლის 30 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-617-585-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

19. მემკვიდრეობის სამართალი

19.1 მემკვიდრეობის სამართლის ზოგადი დებულებანი

ანდერძით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა;

უღირსი მემკვიდრე

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1310-ე და 1354-ე მუხლები

სკ-ის 1310-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის და უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველს წარმოადგენს ანდერძით ან კანონით მემკვიდრე პირის მხრიდან მამკვიდრებლისათვის უკანასკნელი ნების განხორციელებაში განზრახ ხელის შეშლა თავისი, ან მისი ახლობელი პირების მემკვიდრეებად მოწვევის, ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდის მიზნით, ანდა გან-

ზრახი დანაშაულის, ან სხვა ამორალური საქციელის ჩადენა მოანდერძის მიერ ანდერძში მითითებული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. აღნიშნული გარემოებანი სასამართლომ უნდა დაადასტუროს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 9 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1048-988-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამკვიდროს ბახსნა კომლში

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი

1993 წლიდან, რაც გაუქმდა საკოლმეურნეო კომლი, ქონება, რომელიც საკოლმეურნეო კომლის ქონება და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრება იყო, აღარ წარმოადგენს საკოლმეურნეო კომლის ქონებას და იგი არის კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება თანაბარი წილით, რომელზეც ვრცელდება სკ-ით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებაზე მემკვიდრეობა მიიღება სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესების მიხედვით და ამ დროს არ გამოიყენება სკ-ის 1323-ე მუხლით დადგენილი გამონაკლისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 10 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-724-782-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამკვიდრო ქონება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე და 199-ე მუხლები

უფლებამონაცვლეობის დადგენისას, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა კანონის საფუძველზე მოთხოვნის უფლების გადასვლისა და სამემკვიდრეო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 22 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-649-615-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამკვიდრო ქონება;

სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე და 1426-ე მუხლები

სამკვიდრო არის იმ უფლებებისა და ვალდებულებების კომპლექსი, რომელიც მამკვიდრებელს სიცოცხლეში ჰქონდა. სამკვიდროს წარმოადგენს მამკვიდრებლის უფლება საგნებზე და არა კონკრეტული საგნები;

სამკვიდროს მიღების ვადა შეიძლება გაგრძელდეს, თუ ვადის გადაცილების მიზე-

ზები საპატიოდ იქნება მიჩნეული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-851-800-2010 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

19.2 მემკვიდრეობა კანონით

მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განმარტებისას

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლი

მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისათვის, განმსაზღვრელია არა ის გარემოება, არსებობდა თუ არა ქალსა და მამაკაცს შორის რეგისტრირებული ქორწინება, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა იმ კონკრეტული ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს შორის ცოლქმრული ურთიერთობის ფაქტობრივად არარსებობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-187-174-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამკვიდრო მონაწილეობა

- საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედ.) 544-ე და 556-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1499-ე მუხლი

სამკვიდრო მონაწილის, როგორც უფლებადამდგენი დოკუმენტის იურიდიული ძალა ისაა, რომ ის ადგენს ან ცვლის ახალი ტიპის სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელთა მონაწილეებს აქვთ, როგორც უფლებები, ასევე – ვალდებულებები. სწორედ სამკვიდრო მონაწილეობაა ის გადამწყვეტი დოკუმენტი, რითაც პირი მოიპოვებს საკუთრების უფლებას ქონებაზე. ყველა შემდგომი ქმედება გამომდინარეობს ძირითადი უფლებადამდგენი დოკუმენტისაგან. ასეთი დოკუმენტი კი, სათანადოდ დასაბუთებული მოთხოვნის გარეშე ვერ გაუქმდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-750-718-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

19.3 სავალდებულო წილი

სავალდებულო წილის ტრანსმისია

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი

სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მემკვიდრეობით გადასვლა (ტრანსმისია) დასაშვებია, თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ ისე, რომ მან ვერ მოასწრო სავალდე-

ბულო წილის მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 6 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1577-1480-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

19.4 ანდერძის შეცვლა ან მოშლა

ანდერძის ბათილობის შესახებ სარჩელის წარდგენის ვადა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლი

სკ-ის 1409-ე მუხლში მითითებული მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ იმ პირების მიმართ, რომელთათვისაც ცნობილი იყო ანდერძის არსებობის შესახებ. ეს მუხლი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირების მიმართ, რომელთაც არაფერი იცდონენ ანდერძისა და ანდერძით მემკვიდრეების არსებობის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 28 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-15-15-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

19.5 სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე

სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი

კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილების საპატიოობისას უნდა შეფასდეს იმ ვადის საპატიოობაც, რომლითაც მხარემ გადააცილა სა-ნოტარო ორგანოსათვის მიმართვის ან ქონების დაუფლების ვადას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 7 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-177-167-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობა შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 12 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1224-1076-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 6 აგვისტოს № 146 ბრძანება

საზღვარგარეთ არაღელგალურად ყოფნის ფაქტი თავისთავად არ შეიძლება, მიჩნეულ იქნეს სამკვიდროს მიღების ვადის საპატიოდ გაშვების ერთადერთ საფუძვლად. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 6 აგვისტოს № 146 ბრძანების შესაბამისად, შესაძლებელი იყო კომუნიკაციის ელექტრონული ფორმის გამოყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2015 წლის 5 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-421-398-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება;
კანონით მემკვიდრეობის შინაარსი, რიგითობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე და 1336-ე მუხლები

თუ მემკვიდრეობის მიუღებლობის მიზეზი არსებობდა სამკვიდროს გახსნამდე და ეს გარემოება მემკვიდრეობის ვადის გაგრძელების მოთხოვნისას არ აღმოფხვრილა, სრულყოფილად უნდა იქნეს გამოკვლეული, თუ რა უშლიდათ ხელს მოსარჩელებს ექვსთვიან ვადაში მიეღოთ სამკვიდრო;

საქმის განხილვაში მხარედ ყველა იმ რიგის მემკვიდრე უნდა იქნეს მოწვეული, რომელსაც კანონის თანახმად გააჩნია მემკვიდრეობის უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 15 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-655-621-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

19.6 სამკვიდროს გაყოფა

სამკვიდროს გაყოფის წესი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1452-ე მუხლი

სამკვიდრო გაიყოფა სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეების შეთანხმებით იმ წილის კვალობაზე, რაც თითოეულ მათგანს კანონით ან ანდერძით ერგებათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 18 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-839-788-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

20. სამოქალაქო კოდექსის დასკვნითი და გარდამავალი დებულებანი

სამოქალაქო კოდექსის მოქმედიება დროში

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო სამართლის (1964 წ. რედ.) კოდექსის 547-ე მუხლი

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე საკუთარ მოთხოვნას ახალი სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე ამყარებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 10 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-571-542-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ბინაზე მფლობელობის ჩამორთმევა შეუძლებელია, როდესაც კანონიერ მფლობელებს ბინით სარგებლობის უფლება მუდმივად ჰქონდათ მოპოვებული ძველი კანონმდებლობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-483-457-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი

დაუშვებელია სკ-ის 1513-ე მუხლის გავრცელება ზოგადად ყველა იმ ურთიერთობაზე, რომლითაც განსაზღვრული იყო ნივთზე სარგებლობის უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-470-444-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლები მდებარეობს, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ამ პირთა საკუთრებად მიიჩნევა და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-439-415-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საკუთრების უფლების დადგენისათვის სკ-ის 1513-ე მუხლით უპირატესობა ენიჭება მხარეთა შეთანხმებას მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-496-472-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე;

საზიარო საბნის მართვის წესის გადასვლა უფლებამონაცვლეზე;

საზიარო უფლების გაუქმება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე, 958-ე, 961-ე და 963-ე მუხლები

სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი არ ვრცელდება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე და დაუშვებელია, საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებაზე გავლენა მოახდინოს მხარეთა შორის ამ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივმა მფლობელობამ;

მხარეთა მიერ საზიარო უფლების სარგებლობისა და მართვის წესზე შეთანხმება გავლენას ვერ მოახდენს მათი საკუთრების უფლებაზე;

დაუშვებელია საკუთრების უფლების ისეთი შეზღუდვა, რომლითაც ისპობა საკუთრების სუბსტანცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2014 წლის 24 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-667-634-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე;

საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე და 963-ე მუხლები

1513-ე მუხლი არ ვრცელდება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, რადგანაც რეესტრში რეგისტრირებულ საკუთრების უფლებაზე დაუშვებელია, გავლენა მოახდინოს მხარეთა შორის მიწის ნაკვეთის ფაქტობრივმა მფლობელობამ;

საზიარო უფლების გაუქმება, როდესაც ეს ხდება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ამიტომ საზიარო უფლების იმგვარი გაუქმება, როდესაც საზიარო საგნის ნაწილი კვლავ მხარეთა თანასაკუთრებაში რჩება, ეწინააღმდეგება კანონის მიზნებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-59-58-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე და 170-ე მუხლები

კანონის საწინააღმდეგოდ მოპოვებული სარგებლობა არ შეიძლება წარმოადგენდეს სკ-ის 1513-ე მუხლის ნორმით გათვალისწინებული შედეგის წინაპირობას;

საკუთრების კანონისმიერმა და სახელშეკრულებო ბოჭვამ არ უნდა მოსპოს საკუთრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 10 მარტის განმარტება საქმეზე №ას-271-255-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

21. პრივატიზაცია

საცხმოვრეპელი ბინის პრივატიზაცია

- „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №107 დადგენილება

„საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის)

შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №107 დადგენილებით მინიჭებული უფლება ვრცელდება დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ ოჯახის ყველა წევრზე და საერთო უფლებებთან ერთად მათ ეკისრებათ სარგებლობიდან გამომდინარე მესაკუთრის ყველა ვალდებულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1161-1107-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

22. შრომის სამართალი

შრომის კოდექსის მოქმედების სფერო

- საქართველოს შრომის კოდექსის 1-ლი მუხლი

ა(ა)იპ-ის დირექტორთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები სამოქალაქო კოდექსის ნორმებში უნდა იქნეს მოძიებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-101-97-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შრომითი ურთიერთობა

- საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი

შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. ხელშეკრულება დადებულიად არ ჩაითვლება, თუ მხარეები მის არსებით პირობებზე არ შეთანხმდებიან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1-ლი მარტის განმარტება საქმეზე №ას-1429-1444-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შრომითი ხელშეკრულების დადება

- საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 და 38-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი

დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტა გავლენას ვერ იქონებს შრომითი ხელშეკრულების უვადოდ დადებულიად მიჩნევაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-373-354-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ბამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება

- საქართველოს შრომის კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილი

ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულებების პირობებში დამსაქმებლისათვის იძულებითი მოცდენის პერიოდის შრომის ანაზღაურების სრულად დაკისრება გამორიცხავს დამატებით გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციას, რამდენადაც დაკისრებული თანხა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული ანაზღაურება და დამატებით მე-13 თვის ანაზღაურებას ხელშეკრულება არ ითვალისწინებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-578-553-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ბამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება;

საშვებულებო ანაზღაურება

- საქართველოს შრომის კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 26-ე მუხლი

არასამეწარმეო იურიდიულ პირსა და მის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების დავალების სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნევის მიუხედავად, ამ ურთიერთობას გააჩნია დასაქმებული დირექტორის მინიმალური სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფი მოთხოვნებიც, რაც დამახასიათებელია შრომითი ურთიერთობისათვის. ა(ა)იპ-ის დირექტორს გააჩნია შრომის კოდექსის V თავით რეგლამენტირებულია უფლება, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით, თუკი მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულება განსხვავებულ რეგულაციას არ ითვალისწინებს (ამავე ნორმის შემდგომი დანაწესები), ამასთანავე, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ვინაიდან დირექტორის გათავისუფლების საფუძველი არაა შრომის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე წინაპირობაა, არამედ დავალების მიმცემის ცალმხრივი ნებაა, გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების საკითხის ამავე კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილით შეზღუდვა კანონის სწორი განმარტებიდან არ გამომდინარეობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-131-127-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

პირბასამტეხლო ანაზღაურების დაყოვნებისათვის

- საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლი

დამსაქმებელი ვალდებულია, ნებისმიერი ანაზღაურებისა თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი, ხოლო თავისთავად პირგასამტეხლოს მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს მხარეთა შორის არსებული ფულადი ვალდებულება წარმოადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-285-271-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დასაქმებულს ანგარიშსწორების დაყოვნებული ყოველი დღისათვის პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მიმდინარე შრომითი ურთიერთობის ფარგლებში, ანუ როდესაც დასაქმებული და დამსაქმებელი ერთმანეთთან შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდნენ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-268-255-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

- საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა„ ქვეპუნქტი

დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლების კვლევისას, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რა ღონისძიებები გაატარა დამსაქმებელმა დასაქმებულისათვის დაკავებული პოზიციის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-792-759-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საწარმოს ან მისი სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაცია უკანონოა, როდესაც რეალურად იგი არ ჩატარებულა, ფორმალური ნიშნების მიხედვით დარჩა იგივე სტრუქტურული ერთეული (ერთეულები) ან ცვლილებით გაუქმებული სტრუქტურების ნაცვლად, შემოღებულ იქნა ახალი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ფორმალური ნიშნით განსხვავდება, მაგრამ შინაარსობრივად იმავე ფუნქციისაა, რაც ძველი სტრუქტურული ერთეულები. რეორგანიზაციის შედეგად პირთა განთავისუფლების უკანონობაზე უნდა უთითებდეს, აგრეთვე, სამუშაო ძალის შემცირების არარსებობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-414-391-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და 1-ლი მუხლი

სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში სახელმწიფო ამოცანათა განსახორციელებლად შექმნილი ორგანიზაციული წარმონაქმნის ფუნქციონირებისათვის გამოსაყენებელ ნორმათა სპექტრი სამოქალაქო კანონმდებლობით არ შემოიფარგლება. საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან მიმართებით შკ-ის გამოყენებისას გასათვალისწინებელია ამ კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის დათქმა, რომლის თანახმადაც, ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-354-339-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

- საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 1-ლი და მე-6 მუხლები

თუ მხარეთა მიერ შრომით ხელშეკრულებაში ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ არის მითითებული, იგი ჩაითვლება უვადოდ დადებულიად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-371-349-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-6 მუხლი

პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას. თუ დასაქმებულმა მიმართა დამსაქმებელს ხელშეკრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნით და საპასუხოდ დამსაქმებელმა გამოსცა თანხმობის ბრძანება, ხელშეკრულება ჩაითვლება გაგრძელებულად მოთხოვნის ვადით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1199-1141-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლი პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები

როდესაც დასაქმებულთან ხელშეკრულება წყდება ამ უკანასკნელისგან დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის მოტივით, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, თუ რა სახისა და სიმძიმის დარღვევამ განაპირობა დასაქმებულის სამსახურიდან განთავისუფლება, რათა შეფასდეს, რამდენად სამართლიანი იყო დამსაქმებლის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-106-101-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი (12.06.2013 წლამდე მოქმედი რედაქცია)

შკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით არ არის მონესრიგებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი, ხელშეკრულების მოშლის წესი და პირობები. ეს ნორმა წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალს და არა შრომითი ხელშეკრულების მოშლის მარეგულირებელ ნორმას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2016 წლის 11 მარტის განმარტება საქმეზე №ას-293-275-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს მოსარჩელის სამუშაოდან განთავისუფლების იმ საფუძველზე, რომელიც სადავო ბრძანებაში არაა მითითებული. მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერების დადგენისას, შეფასებას ექვემდებარება გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში მითითებული საფუძვლის გამოყენების კანონიერება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 19 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-239-226-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შკ-ის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი არ ანიჭებს დამსაქმებელს შეუზღუდავ უფლებას, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოშალოს შრომითი ხელშეკრულება დასაქმებულთან. აღნიშნული ნორმით მხარეთათვის მინიჭებული ხელშეკრულების მოშლის უფლება არ არის შეუზღუდავი, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტური, შეუზღუდავი სამოქალაქო უფლება და იგი უნდა განხორციელდეს სკ-ის 115-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 25 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-1265-1194-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1206-1057-10 24.02.2011; №ას-1127-1058-2012 25.01.13; №ას-1283-1210-2012 30.10.2013.

შკ-ის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, ქვეპუნქტით მხარეთათვის მინიჭებული უფლებამოსილება შეზღუდვადია. აღნიშნული უფლების გამოყენების მართლზომიერება უნდა შემოწმდეს შრომის სამართლის ზოგად პრინციპებთან, კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით რეგულირებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 22 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-750-704-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1122-1053-2012 22.10.12; №ას-545-513-2012 05.10.12; №ას-979-920-2012 01.11.12; №ას-996-935-2012 10.12.12; №ას-1297-1224-2012 19.11.12; №ას-1391-1312-2012 10.01.2014.

სამენარმეო სუბიექტს გააჩნია საკუთარი მიზნები და იგი მოგებაზეა ორიენტირებული, აქედან გამომდინარე, საკუთარი მიზნის მისაღწევად საწარმოს შეუძლია საკუთრებითი წესრიგის მართლზომიერი მართვა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი იმ მუშა-მოსამსახურეთა არჩევის უფლებაა, რომლებიც უზრუნველყოფენ მესაკუთრისაგან დაქირავებული ქონებით საწარმოს მიზნების რეალიზებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 1 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-343-327-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები;
ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა

- შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლი

თუ დასაქმებულს სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე დამსაქმებლის შეტყობინება არ მისვლია, ხელშეკრულება არ ჩაითვლება შეწყვეტილად;

ნების გამოვლენა ნამდვილია, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 20 მარტის განმარტება საქმეზე №ას-6-6-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი

დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა არის თუ არა „უხეში“, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალური შეფასების საგანია და უნდა შეფასდეს საქმის ყველა კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით. იმისათვის, რომ დამრღვევის მოქმედების (ან უმოქმედობის) სიმძიმე შეფასდეს, პირველ რიგში გამოკვლეულ უნდა იქნეს იმ სამსახურის დანიშნულება, სადაც დასაქმებული მუშაობს და ამ სამსახურში დასაქმებულის ფუნქცია და მოვალეობები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 13 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-127-123-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები;
უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

- შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი

დაუშვებელია კოლექტიური პასუხისმგებლობის გამოყენება, ერთ-ერთი თანამშრომლის მხრიდან შინაგანანსის დარღვევის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 18 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1276-1216-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

- საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი

არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე სუბიექტის თანამდებობაზე გამწესება-გამონწვევისა და მასთან შრომითი ურთიერთობის მონესრიგებისათვის სპეციალურ კანონს წარმო-

ადგენს შრომის კოდექსი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 16 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1011-972-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

თუ, ა(ა)იპ-ის წესდება რაიმე მატრიალურ საფუძველს არ შეიცავს, ხოლო დირექტორთან შრომითი ურთიერთობა მოწესრიგებულია მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, ა(ა)იპ-ის დირექტორთან შრომითი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად უნდა ვიხელმძღვანელოთ სპეციალური კანონით – შრომის კოდექსით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 3 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1028-970-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ (ბათილად) ცნობის შემთხვევაში, დასახელებულ ნორმაში მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, თუმცა კანონმდებლის მიერ დადგენილი წესი არ შეიძლება იმგვარად განიმარტოს, რომ სასამართლოს, დისკრეციული უფლებამოსილებით, შეუძლია მოხმობილი ნორმის დანაწესის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოეყენება. შკ დამსაქმებელს ავალდებულებს „პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით„. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო თუკი ეს შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 15 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1083-1020-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-931-881-2015 29.01.2016; №ას-1327-1265-2014 29.01.2016.

სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა, არ მოიცავს ბრძანების ბათილად ცნობასაც. ბრძანების ბათილად ცნობა წარმოადგენს დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას და სწორედ სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების ეტაპზე უნდა გამოარკვიოს სასამართლომ მისი არსებობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 27 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-460-439-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ (ბათილად) ცნობის შემთხვევაში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შკ-ის 38.8 მუხლში მითითებული დანაწესი დისკრეციული უფლებამოსილებით, საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 29 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-941-891-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-951-901-2015 29.01.16.

პირის სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში აუცილებლად უნდა შემონ-
მდეს, აღნიშნულს საფუძვლად ხომ არ დაედო შკ-ის მე-2 მუხლით დისკრიმინაციუ-
ლად მიჩნეული რომელიმე საფუძველი. მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში დამ-
საქმებელს ეკისრება, კერძოდ, თუ დასაქმებული უთითებს, რომ მასთან შრომითი
ურთიერთობის შეწყვეტა დისკრიმინაციული ქმედება იყო, სწორედ დასაქმებულმა
უნდა ამტკიცოს საკუთარი ნების გამოვლენის მართლზომიერება და განთავისუფ-
ლების არადისკრიმინაციული საფუძვლის არსებობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 24 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-519-493-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შრომის კოდექსის მოქმედება ღროში

– საქართველოს შრომის კოდექსის 53-ე მუხლი

საბოლოო ანგარიშსწორების დაყოვნების გამო, კანონით განსაზღვრული პროცენ-
ტის გადახდა დასაქმებულს ეკისრება არა მხოლოდ იმ შეუსრულებელი ვალდებუ-
ლების პროპორციულად, რაც ახალი კანონის ამოქმედების შემდგომ წარმოიშვა,
არამედ იმ თანხაზეც, რომელიც ამ კანონის ამოქმედების დროისათვის არ იყო ანაზ-
ღაურებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 26 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1205-1132-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

23. საკორპორაციო სამართალი

დივიდენდის მიღებისა და მოთხოვნის უფლებაში

– „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე და 50-ე მუხლები (ძვ. რედ.)

მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზო-
გად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის
ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას
(დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი უფ-
ლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მე-
ორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გა-
დაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 6 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1328-1170-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-310-294-2011 26.09.11.

პროკურისტები

- „მენარმეთა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლი (ძვ. რედ.)

მსგავსად დირექტორებისა, საზოგადოებას წარმოადგენენ (და არა ხელმძღვანელობენ) მესამე პირებთან ურთიერთობაში გენერალური სავაჭრო მინდობილობის მქონე პირები – პროკურისტები. პროკურა იურიდიული ძალის მქონე აქტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას იღებს პირი, რომელიც უნდა გახდეს პროკურისტი. მისი ნამდვილობისათვის აუცილებელია ამ პირთა სამენარმეო რეესტრში რეგისტრაცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 23 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1375-1212-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საზოგადოების პარტნიორისა და
ღირეძტორის პასუხისმგებლობის ფარგლები;

საზოგადოების ხელმძღვანელისა და პარტნიორის პასუხისმგებლობა

- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი და მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი

კრედიტორების წინაშე კომპანიის ვალდებულებებისათვის დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობა წესრიგდება არა სკ-ის დელიქტური ნორმებით, არამედ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 6 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1307-1245-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1158-1104-2014 06.05.2015.

საწარმოს ლიკვიდაცია

- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი

კანონით დადგენილი წესით ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელია, რაც საწარმოს გაუქმების სამართლებრივი შედეგის გამომწვევია, სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების მაუწყებელია. ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელია საწარმოს, როგორც უფლებადარიანი და ქმედუნარიანი სუბიექტის სხვა სამართლებრივ რეჟიმში – სალიკვიდაციო პროცესში გადასვლას ნიშნავს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 18 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1015-958-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მომგებიანის განაწილება

– „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი

წლიური მოგების/დივიდენდის განაწილების საკითხის გადაწყვეტა შპს-ის მმართველობითი ორგანოს (საერთო კრება) კომპეტენციაა. როგორც კანონის, ისე საწარმოს წესდების შესაბამისად, დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საწარმოს დისკრეციაა, რაც გულისხმობს გასანაწილებელი მოგების ოდენობის განსაზღვრის დისკრეციასაც და ამ გადაწყვეტილების მიღებაში სასამართლო უნდა ჩაერიოს, თუ უფლებამოსილი პირები არაკეთილსინდისიერად მოქმედებენ, პარტნიორის უფლებები განზრახ არის უგულებელყოფილი ან დისკრეციას ბოროტად იყენებენ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 17 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-863-813-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დირექტორის მიერ კონტრაქტთან დადებული გარიგების ბათილობის მოთხოვნის ხანდაზმულობა

– „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი

საწარმოს დირექტორის მიერ კონტრაქტთან ხელშეკრულების დადებისას საზოგადოების მხრიდან გარიგების ბათილობის თაობაზე წარდგენილ საჩივარზე ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.5 მუხლით გათვალისწინებული 18-თვიანი და არა სკ-ის 129-130-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2014 წლის 25 მარტის განმარტება საქმეზე №ას-495-471-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საწარმოს ხელმძღვანელის კეთილსინდისიერება

– „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი

როდესაც საზოგადოებას წარმოეშობა ვალი პარტნიორთა წინაშე. ასეთ დროს პარტნიორს შეუძლია, საზოგადოების წინაშე დააყენოს მოთხოვნა, მიუღებელი მოგების განაწილების ან თუნდაც მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მსგავს დავებში პარტნიორები მონაწილეობენ, როგორც საზოგადოების კრედიტორები და მათ მიმართ ვალდებულება ისევე უნდა შესრულდეს, როგორც ნებისმიერი კრედიტორის მიმართ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2014 წლის 25 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-522-496-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სანარმოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება

– „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი

პარტნიორებს უფლება აქვთ, გაათავისუფლონ დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან და ამ შემთხვევაზე, შკ-ის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს. შკ-ით მონესრიგებულია ურთიერთობა სანარმოს დირექტორსა და მის დაქირავებულ მუშაკს შორის, რომელიც ჩვეულებრივი შრომითსამართლებრივი ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის საქმიანობა არის სამენარმეო, მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა წესრიგდებოდეს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-240-228-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებად. იგი პირობითად შეიძლება სასამსახურო ხელშეკრულებად მოვიხსენიოთ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-302-287-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საზოგადოების დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნა/არჩევა, ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, თანამდებობიდან განთავისუფლების წესი და პირობები წესრიგდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და არა შრომითსამართლებრივი ნორმებით. აქედან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმა შრომის ხელშეკრულების დარღვევად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-1634-1533-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დივიდენდის მოთხოვნის უფლება

– „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების არსებობა დივიდენდების განაწილების თაობაზე არ წარმოშობს კონკრეტული პარტნიორის მიერ მისი ავტომატურად მიღების ვალდებულებას. დივიდენდის მიღების უფლება განუყრელად არის დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა, წილისაგან დამოუკიდებლად, დაუშვებელია. ამდენად, წილის გასხვისების შემდეგ, შემძენს გადაეცემა ამ წილიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნა. დივიდენდის დათმობა შესაძლებელია ცალკე უფლების სახით წილის გადაუცემლად, ხოლო, წილის გასხვისების შემთხვევაში, თავდაპირველი მესაკუთრის მიერ არარეალიზებული დივიდენდის მოთხოვნის უფლება ასევე გადადის წილის შემძენზე, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 31 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-1343-1361-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სკს-ში არსებული წილის გაყოფა მეშუღლეთა განქორწინებისას

– „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი*

წილი – კაპიტალის დათმობისას საჭიროა სანოტარო წესით დამონმებული ხელშეკრულება და დანარჩენი პარტნიორების თანხმობა, უამისოდ დათმობის ხელშეკრულება ბათილია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 28 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-97-93-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

აქციონერთა უფლება-მოვალეობები

– „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი

აქციონერი მესამე პირის მიმართ სარჩელის უფლებით სარგებლობს იმ შემთხვევაში, თუ ამგვარ სარჩელს არ აღძრავს თავად საზოგადოება და, ამასთან, არ დაასაბუთებს, რომ სარჩელის აღძვრა საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგება. აღნიშნული ნორმით კიდევ ერთხელაა ხაზგასმული კონკრეტულ აქციონერთან შედარებით მთლიანად საზოგადოების ინტერესების უპირატესობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 14 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-1194-1455-09
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საწარმოს გარდაქმნა

– საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის №288 დადგენილება

სააქციო საზოგადოებების რეგისტრაციის მომენტიდან საწარმოო ქვეგანაყოფის პასივები და აქტივები მიიღება სააქციო საზოგადოების მიერ. იგი ხდება გარდაქმნილი საწარმოს უფლებებისა და მოვალეობების მემკვიდრე. ქვეგანაყოფების გარდაქმნით შექმნილი სააქციო საზოგადოებების უფლებამემკვიდრეობის საზღვრები დგინდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მისი შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს გადაწყვეტილებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 25 დეკემბრის განმარტება საქმეზე №623-586-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

* ამჟამად ეს ნორმა ამოღებულია

24. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

ცილისნამება

- „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი, მე-5, მე-13-მე-19 მუხლები

როდესაც კერძო პირები მოღვაწეობენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში, მათ მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ფართოვდება და მიჩნეულია, რომ ასეთ დროს, კრიტიკისადმი მათ მეტი მოთმინება მოეთხოვებათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1278-1298-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ფაქტი და მოსაზრება

- „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი და მე-7 მუხლები

გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს ფაქტის შემცველ ინფორმაციას და არა აზრს. აზრი ადამიანის პირადი სუბიექტური შეფასებაა ამა თუ იმ მოვლენის, იდეის, ფაქტისა თუ პიროვნების მიმართ. ფაქტები რეალურად, ნამდვილად არსებული საგნები, მოვლენები ან გარემოებებია, რომლებიც შეიძლება იყოს მცდარი ან მართალი, სწორი. აქედან გამომდინარე, ფაქტები ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებებს. შესაბამისად, ფაქტების გავრცელება ექვემდებარება მათი სისწორის, ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას. მაშინ, როდესაც მოსაზრების ნამდვილობის მტკიცება შეუძლებელია და, შესაბამისად, ამის ვალდებულებაც აზრის გამომთქმელს არ უნდა ეკისრებოდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1149-1169-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

25. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა

კანონის მოქმედების სფერო

- „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლი

აღნიშნული კანონით მოსწერილებულია იმ პერიოდის საზოგადოებაში ფაქტობრივად არსებული ურთიერთობები, რომელსაც იმ დროს მოქმედი საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა. გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ თავისი შინაარსით არატიპურ სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოადგენდა და იგი საბჭოთა სინამდვილეში ფაქტობრივი ქონებრივი ურთიერთობის სახით არსებობდა. ეს სახელშეკრულებო ურთიერ-

თობა შეიცავდა სხვადასხვა გარიგების ნიშნებს (ქირავნობა, სესხი, გირავნობა), თუმცა, ამავდროულად, რადიკალურად განსხვავდებოდა მათგან თავისი შინაარსითა და სპეციფიკური პირობებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-198-191-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მოსარგებლე, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი, თავის უფლებასთან მიმართებით თავისუფალია და ნივთის აუცილებლად პირადად სარგებლობით შეზღუდული არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-487-461-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 იანვრამდე წარმოშობილ არა ნებისმიერ ფორმად აუცველ გარიგებასთან დაკავშირებულ ურთიერთობას, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც მოითხოვდა სპეციალურ მონესრიგებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-174-164-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1271-1291-2011 10.04.2012.

საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივი ფლობისათვის, როგორც ზოგადად მფლობელობისათვის, განმსაზღვრელია მფლობელის ნებითი მომენტი, სურვილი, იყოს ნივთის მფლობელი და პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს მას. მოსარგებლე, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი, თავის უფლებასთან მიმართებით თავისუფალია და ნივთის აუცილებლად პირადად სარგებლობით შეზღუდული არ არის. მოსარგებლე შესაძლებელია, არ ცხოვრობდეს სადავო საცხოვრებელ სადგომში გარკვეული პერიოდი და, აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის განმავლობაში არ იხდიდეს კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ მხოლოდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან მიატოვა სადავო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, უნდა დასტურდებოდეს სადავო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების მიტოვების ნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1043-978-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-150-140-2015 14.05.2015.

საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ ბარიგების ნამდვილობა

- „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი (1998წ. რედ.)

გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციითა და კომუნალური გადასახადების გადახდით ანდა მესაკუთრესათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდით (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1071-1101-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1263-1192-2012 02.05.2013.

- „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-8 ქვეპუნქტი (1998წ. რედ.)

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-8 ქვეპუნქტი არავითარ დათქმას არ იძლევა (არ კრძალავს) უფლებამონაცვლეობის თაობაზე. ფართის დათმობა ადამიანის ქონებრივი უფლებაა გარკვეული სასყიდლის სანაცვლოდ და ამ უფლების რეალიზაცია არ შეიძლება შეიზღუდოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-10-10-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1-ლი თებერვლის №107 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის შესახებ“

ბინის პრივატიზებიდან გამომდინარე დავებზე სასამართლო ითვალისწინებს, თუ ვინ იყო პრივატიზების მომენტისათვის ჩანერილი სადავო ბინაში. საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას სწორედ აღნიშნული პირები სარგებლობენ თანაბარი უფლებით, მოიპოვონ საკუთრების უფლება მათ მიერ დაკავებულ ბინაზე. ბინის მესაკუთრეებად მიიჩნევიან არა მხოლოდ პრივატიზების ხელშეკრულებაში მითითებული პირები, არამედ მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის ყველა წევრი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1148-1077-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

26. გადახდისუუნარობის სამართალი

პირობითი მოთხოვნა

- „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი

გარანტიასთან დაკავშირებული მოთხოვნა პირობითი მოთხოვნაა და არა უტყუარად დადასტურებული მოთხოვნა და უპირობოდ არ დაკმაყოფილდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1822-1796-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს მიერ კუთვნილი ქონების გასხვისება

- „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-6 პუნქტი

რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს მიერ კუთვნილი ქონების გასხვისება კანონით არ იკრძალება, თუმცა ამგვარი ქმედება უნდა დაემორჩილოს ზოგად პრინციპს – საფრთხე არ უნდა შეექმნას, ერთი მხრივ, მოვალის ინტერესებს, გადაჭრას ფინანსური სიძნელეები, ხოლო, მეორე მხრივ, კრედიტორთა ინტერესებს, დაიკმაყოფილონ მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-283-265-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ქონების გასხვისება

- „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი

რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს მიერ წარმოებული (შექმნილი) ან თუნდაც არსებული ქონების გასხვისება კანონით აკრძალული არ არის, თუმცა ამგვარი ქმედება უნდა დაემორჩილოს ზოგად პრინციპს – საფრთხე არ შეექმნას, ერთი მხრივ, მოვალის ინტერესებს, გადაჭრას ფინანსური სიძნელეები, ხოლო, მეორე მხრივ, კრედიტორთა ინტერესებს, დაიკმაყოფილონ მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1070-1021-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

27. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა

საკომპენსაციო თანხის ოდენობა

- „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი

კომპენსაციის სახით შეთავაზებული სხვა ქონების საბაზრო ღირებულება ან საკომპენსაციო თანხა უნდა იყოს წინასწარი, სრული და სამართლიანი და არ უნდა იყოს ექსპროპრიატორის მიერ შეფასების შედეგად განსაზღვრულ თანხაზე ნაკლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 15 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-727-695-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამოქალაქო საპროცესო სამართალი

1. უწყებრივი ქვემდებარეობა

სამოქალაქო საქმეების უწყებრივი
დაქვემდებარება სასამართლოებისადმი

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები

სახელმწიფო ქონების პრივატიზება სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზების პროცესი არ არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობა და ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ გამოვა, როგორც კერძო პირი. სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2014 წლის 30 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-890-852-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რამდენადაც იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით მიწვეული უფლებამოსილების ფარგლებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 18 მაისის განმარტება საქმეზე №ას-200-187-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელი ელემენტია დავის საგანი, რომელიც მითითებულია სასკ-ის მე-2 და მე-3 მუხლებში, ამასთან, დავა წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 30 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-292-279-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-559-530-2015 30.10.2015 და №ას-635-598-2012 10.01.2014.

სსსკ-ის მე-11 მუხლის არცერთი დანაწესი სამეწარმეო სუბიექტის (გადასახადის გადამხდელი) მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საქმის განხილვას არ ითვალისწინებს. აღიარებული საგადასახადო დავალიანების, ასევე, დარიცხული სანქცია-საურავების გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრებისა თუ ამ თანხის ამოღების მიზნით მიმდინარე სააღსრულებო წარმოების კანონიერების სამოქალაქო წესით შემომწმების წინაპირობები ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-708-677-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მეწარმე სუბიექტები სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირდებიან ადმინისტრაციული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება ითვლება ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტად და მისი გაუქმება შესაძლებელია ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გაუქმებისათვის დადგენილი წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-224-210-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-436-412-2011 16.06.11.

2. განსჯადობა

განსჯადობის წესების დარღვევა

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები

საგნობრივი განსჯადობის დავის საკითხის გასარკვევად გადამწყვეტია იმის გარკვევა, დადებულია თუ არა ხელშეკრულება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მის უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განხორციელების მიზნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1178-1198-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-953-896-2012 19.11.12; №ას-1405-1326-2012 20.11.12; №ას-1392-1313-2012 20.11.12; №ას-180-173-2012 03.07.12.

3. პროცესის ხარჯები

სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი

სასამართლოს, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, თვითონაც შეუძლია, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, თუკი ამკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-330-315-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დავის საგნის ღირებულების 4%-ის ანაზღაურება

იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 27 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-1350-1387-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაგრამ, თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 30 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-1301-1239-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-728-684-2012 10.09.2012.

სახელმწიფო ბაჟისა და სხვა სასამართლო ხარჯების მხარეთათვის დაკისრება მხოლოდ დავის არსებითად გადაწყვეტის შემთხვევაშია შესაძლებელი. საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ეტაპზე დასაკისრებელი სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების კანონიერების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთ დროს სასამართლოს არ გააჩნია ის მონაცემები, რაც აუცილებელია სახელმწიფო ბაჟის ოდენობის დადგენისა თუ სხვა სასამართლო ხარჯების განაწილებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 6 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-640-601-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დაინტერესებულ მხარეს აქვს სრული შესაძლებლობა, მოითხოვოს საქმის განხილვასთან დაკავშირებით მის მიერ განეული პროცესის ხარჯების ანაზღაურება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ისარგებლებს აღნიშნული შესაძლებლობით, იგი კარგავს პროცესის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ვინაიდან ასეთ მოთხოვნას მატერიალურსამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და იგი არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სარჩელის დავის საგანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1706-1600-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა
სარჩილების გაერთიანების შემთხვევაში

სარჩილების გაერთიანება გავლენას ვერ მოახდენს დავის საგნის ღირებულების განსაზღვრაზე. გაერთიანებული სარჩილები ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს და დავის საგნის ღირებულება თითოეული სარჩელის დამოუკიდებელი ღირებულებით უნდა განისაზღვროს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1378-1215-2010 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლო ხარჯებისა და აღმოკატის დახმარების გამო გადასახდელი ხარჯების განაწილება სარჩილზე უარის თქმისა და მორიგებისას

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლი

თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-243-228-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

4. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

სასამართლო უწყების ჩაბარება

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები

თუ საქმეში არ დასტურდება მოპასუხისათვის სარჩელისა და სასამართლო უწყებებების ჩაბარება სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, საქმეში არ მოიპოვება მოპასუხის ან მისი ოჯახის წევრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა კონკრეტული სახის გზავნილის ჩაბარებას, სასამართლო

უწყება არ ჩაითვლება ჩაბარებულად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 14 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1191-1133-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი

ის ფაქტი, რომ უწყების მიმღებსა და ორგანიზაციის წარმომადგენელს შორის შეიძლება არსებობდეს ბიოლოგიური კავშირი, არ ავალდებულებს უწყების მიმღებს გადასცეს უწყება ადრესატს, თუ იგი არ წარმოადგენს ორგანიზაციის უფლებამოსილ პირს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 12 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-872-822-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მისამართის შეცვლა საქმისწარმოების დროს

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი

სასამართლო უწყება მიიჩნევა ჩაბარებულად, თუნდაც ადრესატი მითითებულ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს, თუ მან არ შეატყობინა სასამართლოს საქმისწარმოების განმავლობაში მისამართის ცვლილების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 5 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-380-353-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

უწყების ჩაბარება თანამონაწილისათვის

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლი

იმ შემთხვევაში, როცა საქმეში მოპასუხე 10-ზე მეტი პირია, სსკ-ის 77-ე მუხლით დადგენილი, პირველი სამი პირისათვის ჩაბარების წესი, გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოპასუხეები სასამართლოში წარადგენენ შესაგებელს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 9 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-514-487-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საჯარო შეტყობინება

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლი

საჯარო შეტყობინება, მოპასუხის მიმართ სამართლებრივი შედეგის მომტანად არ იქნება მიჩნეული, თუ ეს უკანასკნელი უნდა მოეწვიათ საერთაშორისო ხელ-

შეკრულებით განსაზღვრული მხარის დაბარების შესაბამისი საშუალების გამოყენებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-214-199-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

5. მხარეები

მხარეთა საპროცესო უფლებები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილი
საპროცესო კანონმდებლობა არ ავალდებულებს მხარეს, მიუთითოს დავის სამართლებრივი საფუძველი. იგი არ წარმოადგენს ხარვეზის დადგენის საფუძველს. სამართლებრივი საფუძველი უნდა განსაზღვროს სასამართლომ და არა მხარემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-690-651-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

არასათანადო მოსარჩელის შეცვლა, ჩაბმა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი
მოსარჩელის თანხმობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია, არასათანადო მოსარჩელის თანხმობით, ამ უკანასკნელის სათანადო მოსარჩელით შეცვლა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1132-1065-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

არასათანადო მოპასუხის შეცვლა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი
საჭიროებისას, როდესაც აშკარაა, რომ სათანადო მოპასუხის მონაწილეობის გარეშე დავის განხილვა არსებითად იმოქმედებს საქმის განხილვის შედეგზე, სასამართლომ უნდა შესთავაზოს მოსარჩელეს საქმეში სათანადო მოპასუხის შეცვლა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1004-942-2010 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

– „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18¹ მუხლი
ისეთი გადაწყვეტილების აღსრულებისას, სადაც კრედიტორ მხარედ მითითებულია

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი სახელმწიფო დაწესებულებით უნდა იქნეს იგი წარმოდგენილი აღსრულების პროცესში. ასეთია: 1. აღსასრულებელი გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფო ორგანო ან პირი; 2. სასამართლოსათვის აღსასრულებელი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის ავტორი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 16 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-168-162-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სათანადო მოპასუხის ჩაბმა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი

თუ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არასათანადო მოპასუხე შეიძვალა სათანადო მოპასუხით, მაშინ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საკითხის გადაწყვეტისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სათანადო მოპასუხის პოზიცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 18 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-881-829-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

6. საპროცესო თანამონაწილეობა

თანამონაწილეობის საფუძვლები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლი

სსკ-ის 86-ე მუხლის მიხედვით, თუკი უფლება შეიძლება, ეკუთვნოდეს მესამე პირებს, ისინი საქმეში მოპასუხეებად აუცილებლად უნდა ჩაერთვნენ, რათა სასამართლოს გადაწყვეტილებით არ შეილახოს მათი ინტერესები. ამასთან, როდესაც სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება, გამოვლინდება სავალდებულო თანამონაწილეობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 11 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-673-640-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

7. წარმომადგენლობა სასამართლოში

საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლი

სსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაა იმპერატიული ხასიათის და მხარეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში იმ შემ-

თხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს წარმომადგენელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 24 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-849-799-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი
- „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი

ადვოკატის ორდერი, ისევე, როგორც მინდობილობა, წარმოადგენს სასამართლო-ში საქმისწარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს მას, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სსკ-ის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 12 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-677-644-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

8. მტკიცებულებათა შებროვება და შეფასება

მტკიცებულების ტვირთი

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი

ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნის არსებობისას, ტოლფასი თანამდებობის არსებობის მტკიცებულების ტვირთი მოთხოვნის ავტორს (მოსარჩელეს) უნდა დაეკისროს და არა მოთხოვნის აღრესატს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 30 მარტის განმარტება საქმეზე №ას-902-864-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-588-556-2014 27.04.2015.

როდესაც სადავოა საიჯარო ფართით სარგებლობისა და მფლობელობის ფაქტი და, ვინაიდან, სწორედ ამაზეა დამოკიდებული საიჯარო ქონებით სარგებლობისა და მფლობელობის საფასურის, საიჯარო ქირის, გადახდა, საქმეზე დასაბუთებული და სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილების წინაპირობა მხარეთა შორის მტკიცებულების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილებაა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 14 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-2-2-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ხელშეკრულების მხარეებიდან თითოეული მათგანი პასუხისმგებელია სწორედ მისი წილი ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვე-

ვაში კი, სადავოობისას, მასვე ეკისრება ამ ვალდებულების არსებობის გამომრიცხველი ან მისი შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1328-1266-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1119-1066-2013, 17.04.15; 29.12.2015; №ას-880-838-2013, 09.06.2014 №ას-641-607-2015, 25.09.2015; №ას-361-343-2015, 14.12.2015; №ას-761-720-2015, 15.12.2015; №ას-692-658-2015.

სასამართლომ მოწმეთა ჩვენებები უნდა შეაფასოს მისი შინაარსისა და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით, ასევე, იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელიც ამ მტკიცებულებისთვისაა დამახასიათებელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1326-1252-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

თითოეულმა მხარემ საკუთარი პოზიციის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები. ამაში არ იგულისხმება ერთი მხარის სიტყვიერი განმარტების გაბათილება მეორე მხარის მიერ მტკიცებულებების წარდგენის გზით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-1134-1065-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას, სწორედ საზოგადოების დირექტორმა უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომ საწარმოს მოგება მან არა პირადი საჭიროებისათვის, არამედ მართლზომიერად, საზოგადოების ინტერესების შესაბამისად გახარჯა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-764-715-2010 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-499-468-2010 25.01.11; №ას-936-974-2011 15.11.2011; №ას-249-234-2011 21.07.11; №ას-587-555-2011 02.11.11; №ას-479-455-2013 09.10.2013; №ას-1056-990-2012, 29.01.2013.

მოსარჩელე ვალდებულია, წარმოადგინოს იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელ ფაქტობრივ გარემოებაზეც იგი ამყარებს საკუთარ მოთხოვნას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-1158-1178-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი სადავო გარემოებების მტკიცების სტანდარტის მიხედვით, ყოველი მხარე ვალდებულია, სათანადო მტკიცებულებების წარდგენით, დაადასტუროს საკუთარი პოზიციის სისწორე და უტყუარობა სასამართლოს წინაშე. მოსარჩელემ უნდა წარადგინოს მის სასარჩელო განცხადებაში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო მო-

პასუხე, რომელიც არ ეთანხმება სასარჩელო განცხადებას, მოსარჩელის არგუმენტებისაგან თავდაცვის მიზნით, ვალდებულია, საპასუხო მტკიცებულებების წარდგენით გააქარწყლოს მოსარჩელის პოზიცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 24 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-265-253-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 28 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-33-33-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიური სუსგ №ას-42-42-2016, 28.06.2016.

სსკ-ის 356³ მუხლის მე-5 ნაწილით, კანონიერი შემოსავლების არსებობის ფაქტის მტკიცების ტვირთი არ შეიძლება, მხოლოდ მოპასუხეს დაეკისროს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 20 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-586-557-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

პრეზუმფციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველს ქმნის. მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 20 მაისის განმარტება საქმეზე №ას-184-171-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მიუღებელ შემოსავალს დამტკიცება სჭირდება, მაშინ, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული გონივრული პროცენტის ნამდვილობისათვის საკმარისია მხარეთა წერილობითი შეთანხმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 15 მარტის განმარტება საქმეზე №ას-932-882-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე-940-ე მუხლები

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავისას, თუ მოსარჩელე საკუთარი მოთხოვნების დასასაბუთებლად კრების ოქმსა და ხელშეკრულებას წარადგენს, მოპასუხეებმა, უბრალოდ, მათ ბათილობაზე მითითების გარდა, უნდა წარმოადგინონ სათანადო მტკიცებულებები, რაც დადასტურებს,

რომ კრების ოქმი და ხელშეკრულება კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 26 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1328-1254-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მტკიცებულებათა დასაშვებობა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი

სასამართლო თავისუფალია მტკიცებულებათა შეფასების პროცესში და შეუძლია, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შინაგან რწმენაზე დაყრდნობით დადგენა, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს მტკიცებულებების არარსებობის პირობებში გადაწყვეტილების ვარაუდზე დაყრდნობით მიღების შესაძლებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 15 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1639-1536-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებები ფასდება როგორც ინდივიდუალურად, ისე – ერთობლივად. კანონი მტკიცებულებათაგან არცერთს არ ანიჭებს უპირატესობას და მათი შეფასება სასამართლოს შინაგან რწმენაზეა დამოკიდებული, თუმცა ეს პროცესი არ არის შეუქცევადი და სასამართლოს უპირველესი ვალი მტკიცებულებათა იურიდიული სანდოობის, მათი სათანადო ძალის დადგენაში ვლინდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 22 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-1054-994-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია საქმე №ას-711-670-2011 15.09.2011; №ას-777-734-2015 15.01.2016.

პრეზუმირებული ფაქტი ისეთი ფაქტია, რომელიც არ შედის მტკიცების საგანში, ხოლო პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი იმ მხარეს ეკისრება, რომლის სანაღმდეგოდაც მოქმედებს იგი (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 22 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-1017-960-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-426-403-2014 09.10.2015.

სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 20 მაისის განმარტება საქმეზე №ას-147-143-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-884-834-2015 07.03.2016; №ას-150-146-2016 20.09.2016.

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები და დასაბუთებული შედეგების წარმოდგენა სადავო ნაწილში გადანყვეტილებით დადგენილი ფაქტების საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით განსაზღვრულ კვლევის სტანდარტთან შესაბამისობის გამორკვევის საფუძველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-653-621-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვილოს და იმსჯელოს მოპასუხის (კასატორის) მიერ მითითებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომელთაც მნიშვნელობა გააჩნიათ დავის სწორად გადანყვეტისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-739-707-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-872-830-2013 17.10.2014; №ას-139-130-2015 28.05.15; №ას-662-629-2014 04.06.2015; №ას-491-465-2014 22.06.2015; №ას-89-83-2015 23.10.15; №ას-845-795-2015 17.12.2015; №ას-535-508-2014 16.10.2015; №ას-1024-982-2014 28.09.15; №ას-122-116-2014 25.05.2015; №ას-898-860-2014 09.10.15; №ას-70-68-2014 06.04.15; №ას-699-669-2014 25.06.2015; №ას-742-703-2015 04.12.15; №ას-838-802-2014 19.03.2015; №ას-679-645-2015 19.11.2015.

სასამართლო აგროვებს მხოლოდ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს ადასტურებს. სასამართლო ვალდებულია, დაასაბუთოს მოსაზრებანი, რომლებითაც იგი უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. სასამართლომ სამოქალაქო საქმეზე კანონით დადგენილი წესით (დასაშვებობისა და განკუთვნილობის პრინციპით) მიღებული ყველა მტკიცებულება უნდა შეაფასოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1193-1053-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1264-1111-2011 23.03.11; №ას-213-200-2011 21.06.11; №ას-576-544-2011 06.10.11; №ას-856-806-2010 17.02.11; №ას-940-886-2010 13.01.11; №ას-404-384-2011 15.07.11; №ას-1384-1220-2010 12.05.11; №ას-776-830-2011 27.06.11; №ას-565-533-2011 09.06.11; №ას-889-837-2010 14.03.11; №ას-904-862-2013 21.04.2014; №ას-327-311-2011 13.06.2011; №ას-1585-1488-2012 01.07.13; №ას-1300-1227-2012 01.07.13; №ას-1291-1218-2012 01.07.13; №ას-1648-1545-2012 06.09.2013; №ას-1163-1092-2012 25.12.13; №ას-1651-1548-2012 10.10.13; №ას-1673-1569-2012 09.10.13; №ას-373-354-2013 23.12.13; №ას-244-234-2013 10.10.13; №ას-223-215-2013 01.11.13; №ას-1529-1443-2012 09.12.13; №ას-502-476-2015 24.12.2015; №ას-864-810-2012 11.01.13; №ას-1118-1049-2012 13.02.13; №ას-1249-1178-2012 25.01.13; №ას-1510-1425-2012 18.02.13; №ას-1432-1351-2012 20.05.13; №ას-61-57-2013 07.05.13; №ას-95-90-2013 14.06.13; №ას-851-902-2011 02.12.2011.

მონმეთა ჩვენებების შეფასებისას, სასამართლო ვალდებულია, ისევე, როგორც სხვა სახის მტკიცებულება, მონმის ჩვენება შეაფასოს მისი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით, იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულება, ფიზიკური მდგომარეობა, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მონმის ჩვენებაზე და სხვა) გათვალისწინებით, რომელიც ამ მტკიცებულებისთვისაა დამახასიათებელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 4 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1610-1511-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლო ვალდებულია, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები დაადგინოს სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტური შეფასების შედეგად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 27 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-766-719-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1435-1450-2011 06.02.12; №ას-1341-1359-2011 23.02.12; №ას-1240-1260-2011 07.02.12; №ას-746-702-2012 31.10.12; №ას-952-895-2012 18.10.12; №ას-1320-1340-2011 31.01.12; №ას-1194-1123-2012 22.11.12; №ას-484-458-2012 27.09.12; №ას-1030-965-2012 19.11.12; №ას-1083-1014-2012 28.11.12; №ას-1220-1240-2011 21.02.12; №ას-1685-1671-2011 29.05.12; №ას-733-689-2012 23.10.12; №ას-1373-1390-2011 21.05.12; №ას-1701-1685-2011 22.10.12; №ას-819-771-2012 12.09.12; №ას-579-547-2012 12.10.12; №ას-833-781-2012 23.10.12; №ას-196-183-2015 24.12.2015.

ფაქტიანი, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი

ფაქტის პრეიუდიციული მნიშვნელობა გულისხმობს, რომ ეს ფაქტი არ შედის სამტკიცებელი ფაქტების კატეგორიაში – ესაა ფაქტი, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. შესაბამისად, ასეთი ფაქტი მონინაალმდევე მხარის მიერ ვერ გაბათილდება. პროცესუალურად ის გაბათილებას არ ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფაქტი ვერც სააპელაციო საჩივრით გაბათილდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 6 მოემბრის განმარტება საქმეზე №ას-467-441-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნით, მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვებილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონანილობენ.

saqarTvelos uzenaesi sasamarTlos samoqalaqo saqmeTa palatis 2011 wlis
4 ivnisis ganmarteba saqmeze #as-1705-1689-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი

ფაქტის „საყოველთაოდ ცნობილობა“ სუბიექტური შეფასების საგანი არაა. ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ, ობიექტური გარემოებების შედეგად, მის შესახებ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ინფორმირებული. საყოველთაოდ ცნობილად ისეთი ფაქტი მიიჩნევა, რომელზეც ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ადამიანს ერთნაირად მიუწვდება ხელი და თითოეულ მათგანს ერთნაირად შეიძლება, მოეთხოვოს მისი ცოდნა, ასაკისა თუ სტატუსის მიუხედავად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1320-1246-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სსკ 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები განსხვავებით ამავე მუხლით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებისაგან საერთოდ არ საჭიროებენ რაიმე დოკუმენტისა თუ მტკიცებულების წარდგენას გარკვეული გარემოების დასადგენად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-811-760-2010 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი

წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიჩნევისათვის, სავალდებულოა, არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ.

საქართველო უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-341-326-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

9. მხარეთა ახსნა-განმარტება

მოსამართლეთა შიკითხვები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლი

მოსამართლემ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გამოიყენოს კანონით მინიჭებული შიკითხვის დასმის უფლება, რათა ხელი შეუწყოს საქმის გადანვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1068-1021-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-941-979-2011 01.11.2011.

აღიარება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი

აღიარება უტყუარ მტკიცებულებადაა მიჩნეული, რადგან იგი ფაქტის ამღიარების ინტერესების საწინააღმდეგოდ და მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ არის განხორციელებული, თუმცა აღიარების ამა თუ იმ ფაქტის უტყუარად დამდგენ და უდავო მტკიცებულებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი იმ მხარემ განახორციელოს, რომელთან მიმართებითაც შემდგომში იქნება გამოყენებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 მარტის განმარტება საქმეზე №ას-960-903-2010 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

10. წერილობითი მტკიცებულება

წერილობითი მტკიცებულების დედნის წარდგენა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლი

იმისათვის, რომ სასამართლომ დოკუმენტის ასლი მიიჩნიოს მტკიცებულებად, მხარემ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად და ნათლად უნდა დაადასტუროს, რომ დოკუმენტის დედანი არსებობს ან არსებობდა, მაგრამ მას, ობიექტური მიზეზების გამო, არ შეუძლია მისი წარმოდგენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 აგვისტოს განმარტება საქმეზე №ას-967-1246-09 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოსათვის წერილობითი
მტკიცებულებების წარდგენის სავალდებულობა

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილი

სასამართლოს შეუძლია, პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისგან, რომელიც უნდა დაედგინებინა მეორე მხარის ხელთ არსებული მტკიცებულებით და ეს უკანასკნელი უარს აცხადებს მის წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 7 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1235-1164-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

წერილობითი მტკიცებულების ნამდვილობის
შემოწმება სასამართლოს ინიციატივით

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილი

წერილობითი მტკიცებულების საფუძველზე საქმისწარმოების განახლება არ ნიშნავს, რომ ამ საბუთს აღარ იკვლევენ. საქმის არსებითი განხილვის დროს ამ გარემოებებისა და მტკიცებულებების შესწავლა-გამოკვლევა მიმდინარეობს საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესების საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 26 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-631-592-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

11. ექსპერტიზის დასკვნა

ექსპერტიზის დანიშვნა

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის მე-5 თავის დებულებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული დამსაქმებლისაგან ითხოვს ზიანის ანაზღაურებას სარჩოს დანიშვნის ან ერთჯერადი კომპენსაციის გადახდის გზით და არა სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში ჩართვას. სწორედ ამ დებულებების შესაბამისად გაცემული პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის შესახებ დასკვნის საფუძველზე დგინდება სარჩოს ან კომპენსაციის ოდენობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 1-ლი ივლისის განმარტება საქმეზე №ას-92-87-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ექსპერტიზის დასკვნის შეფასება

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლი

კანონმდებლობა ექსპერტის დასკვნას, როგორც სასამართლო მტკიცებულებას, სავალდებულოდ არ მიიჩნევს და სხვა მტკიცებულებებთან ერთად სასამართლოს მიერ მისი შეფასების აუცილებლობას ადგენს. სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და იგი შეფასდება სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1656-1553-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1009-946-2011 07.04.11; №ას-1019-1050-2011 17.10.11; №ას-336-320-2011 26.09.2011; №ას-402-379-2014 25.05.2015; №ას-915-881-2016 12.12.2016.

ექსპერტიზის დასკვნა დასაშვები მტკიცებულებების ერთ-ერთი სახეა და სასამართლო თავისი მოტივირებული გადაწყვეტილებით ასაბუთებს აღნიშნული მტკიცებულების გაზიარების ან მისი უარყოფის მართლზომიერებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განმარტება საქმეზე №ას-423-400-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

განმეორებითი ექსპერტიზა

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლი

როდესაც არსებობს სადავო საკითხის გამოსაკვლევად ჩატარებული ექსპერტიზის ურთიერთსაინანაღმდეგო დასკვნები ან სასამართლო დასკვნას არასწორად, ან დაუსაბუთებლად მიიჩნევა, კანონმდებლობა ითვალისწინებს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-689-650-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

12. საქმის განხილვა პირველი ინსტანციით

აღიარებითი სარჩელი; იურიდიული ინტერესი

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი

აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება, რომელიც უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებას უნდა უკავშირდებოდეს; მოსარჩელის იურიდიული ინტერესის გამო, უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრი-

ვი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 1 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-17-14-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-567-535-2011 14.07.2011; №ას-1221-1146-2015
20.05.2016; №ას-133-129-2016 04.07.2016.

ცალმხრივი, ორმხრივი თუ მრავალმხრივი ნების გამოვლენით მიღწეული შეთანხმების ბათილად ცნობის მოთხოვნისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დადგენილი იურიდიული ინტერესის ნამდვილობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 28 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-1058-1013-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

აღიარებითი სარჩელი წარმოადგენს იმ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენას, რომელიც სადავოა მხარეთა შორის და რომელიც არ ითვალისწინებს მიკუთვნებითი მოთხოვნის აღძვრას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 1-ლი ივლისის განმარტება საქმეზე №ას-1607-1509-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

მოსარჩელის მოთხოვნით უნდა მიიღწეოდეს ის იურიდიული შედეგი, რომლის ინტერესიც ამ უკანასკნელს გააჩნია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 11 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-365-347-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

აღიარებითი სარჩელის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მისი ნამდვილი იურიდიული ინტერესია. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნა, პროცესუალურსამართლებრივი თვალსაზრისით, აღიარებითი სარჩელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 25 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-318-304-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-398-377-2012 13.12.10.

აღიარებითი სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე შეზღუდულია იურიდიული ინტერესის არსებობით, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, ჩაითვალოს გამართლებულად და გახდეს აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, თუ დასაბუთებულია, ანუ, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, იკვეთება მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2012 წლის 22 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1790-1767-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე, 84-ე-86-ე მუხლები
როდესაც პირი აღძრავს აღიარებით სარჩელს, ნათლად უნდა იკვეთებოდეს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, კონკრეტულად რა შედეგის მიღწევას ლამობს იგი; შეუძლებელია გადაწყვეტილების გამოტანა იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ მონაწილეობენ განსახილველ დავაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 26 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-148-139-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

13. სასამართლოს მთავარი სხდომა

შუამდგომლობისა და განცხადების წარდგინის შეუძლებლობა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი

მხარის მიერ ავადმყოფობის მიზეზით შუამდგომლობისა და განცხადების წარუდგენლობის შემთხვევაში, ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 28 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-159-155-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1299-1144-2010, 17.03.2011; №ას-956-994-2011
22.12.11.

14. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

მოპასუხის გამომცხადებლობა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლი

მოპასუხის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 15 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1254-1176-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 215-ე, 233-ე და 241-ე მუხლები

შესაბამისი წინაპირობების არსებობისას მხარე (ადვოკატი) შეიძლება, მონაწილეობდეს სხვა სასამართლოში დანიშნულ სხდომაზე და ეს არ უნდა იქნეს მიჩნეული მისი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად. გამოუცხადებლმა მხარემ უტყუარად უნდა დაადასტუროს ის ფაქტი, რომ მას არ შეეძლო, წინასწარ ეცნობებინა საპატიო მიზეზის შესახებ იმ სასამართლოსათვის, სადაც ვერ ახერხებდა გამოცხადებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-568-539-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლი

მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად შემოწმებას, სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება, ქმნის თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა, იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და საქმის არსებითად განხილვის აუცილებლობას, იმ განსხვავებით, რომ ასეთ დროს მოპასუხისაგან (მონინააღმდეგე მხარისაგან) მტკიცებულებები არ მიიღება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-720-685-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაა მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრა და იმის უტყუარად შემოწმება, სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება ქმნის თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 მარტის განმარტება საქმეზე №ას-535-509-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შესაგებელი არ არის კანონის ფორმალური დანაწესი და მისი შინაარსობრივი დასაბუთება მნიშვნელოვან შედეგებთანაა დაკავშირებული, კერძოდ, სასამართლო მხარის შედავების გათვალისწინებით, განსაზღვრავს სადავო და უდავო ფაქტობრივ გარემოებათა წრეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-1013-956-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შესაგებლის შეტანა მხარის დისპოზიციური უფლებაა, მაგრამ მისი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენლობა საპროცესო კანონმდებლობით (სსკ-ის 232¹ მუხლი) გათვალისწინებულ შედეგებს იწვევს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1532-1435-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლო უფლებამოსილია, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილოს ის მოთხოვნა, რომლის მიმართაც სსკ-ის 232¹-ე მუხლის შემადგენლობა დგინდება, ხოლო მოთხოვნათა დარჩენილი ნაწილის მიმართ უნდა დანიშნოს სხდომა და საქმე არსებითად განიხილოს ამავე ნორმით დადგენილი წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-307-292-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სავალდებულოა სასამართლო შეტყობინების ჩაბარების წესის განუხრელი დაცვა და იმის უტყუარად დადგენა, მხარე იყო თუ არა სათანადოდ ინფორმირებული საპროცესო მოქმედების განხორციელების აუცილებლობის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1453-1371-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ და 387-ე მუხლები

სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება, გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი. ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, თუ სააპელაციო სასამართლო სათანადო პროცესუალური საფუძველით დაუშვებს აპელანტის მიერ ახალ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე მითითებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-121-117-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი

სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არის ავადმყოფობა, რომელიც დადასტურებულ უნდა იქნეს, თუმცა მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი (წარდგენილი მტკიცებულება ავადმყოფობის შესახებ) სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ არაა ხელმოწერილი, არ შეიძლება, მასში მოცემული ინფორმაციის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-955-917-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-187-179-2016, 06.05.2016; №ას-354-336-2015, 29.01.2016.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ და 233-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 465-ე, 466-ე და 469-ე მუხლები

სოლიდარული მოვალის მატერიალურსამართლებრივი შესაგებელი არ წარმოადგენს სსკ-ის 232¹ მუხლის მიზნებისათვის სარჩელისაგან სოლიდარულ მოვალეთა თავდაცვის საპროცესო საშუალებას, იგი იმგვარი მატერიალურსამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც ვალდებულებაზე ზემოქმედების საშუალებას იძლევა და სოლიდარულ მოვალეს ანიჭებს შესაძლებლობას, კრედიტორის მოთხოვნისაგან დაიცვას თავი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-555-526-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლი

ახლო ნათესავის გარდაცვალება არის საფუძვლიანი მიზეზი სასამართლოში გამოუცხადებლობისა და, შესაბამისად, მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1046-1003-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლო უწყება უნდა შეიცავდეს მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1253-1101-10 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო სამოქალაქო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ან გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-1282-1302-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-914-876-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 105-ე მუხლები

მხარის სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებობის შემთხვევაში, ივარაუდება, რომ მან ინტერესი დაკარგა საქმის განხილვისადმი, რასაც შედეგად მოჰყვება საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება. დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის პროცესუალური ფორმა, რომლის გამოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როდესაც მხარე თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით უარს აცხადებს საპროცესო თანამშრომლობაზე, ანუ, როდესაც მას აქვს პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობა, მაგრამ არა აქვს ნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 19 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-642-608-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ახალი გადაწყვეტილება

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლი

თუ შემონმების შედეგად აღმოჩნდება, რომ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებული წინმსწრები განჩინებები კანონის დარღვევითაა მიღებული, რამაც შემაჯამებელი გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობა განაპირობა, საკასაციო სასამართლო გააუქმებს როგორც შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, ისე კანონის დარღვევით მიღებულ განჩინებებსაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 20 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-217-209-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

15. სასამართლო გადაწყვეტილება

საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყდეს
გადაწყვეტილების გამოტანის დროს

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლი

გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლომ უნდა შეაფასოს მტკიცებულებები და დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, ან რომელ ნაწილში ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 3 ივნისი განმარტება საქმეზე №ას-1210-1155-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი

სააპელაციო სასამართლო ამონებებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 18 მაისის განმარტება საქმეზე №ას-476-450-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1329-1249-2011. 03.02.12; №ას-1264-1284-2011. 04.06.12; №ას-107-103-2012. 21.06.12; №ას-336-320-2013, 21.10.2013.

გადაწყვეტილების შინაარსი

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი

მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება, განხილულ იქნეს მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთად, სარჩელის ცნობა შეუქცევადია და მას გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვება შედეგად. სარჩელის ცნობას საფუძვლად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს ამ მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 8 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-64-58-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 14 მაისის განმარტება საქმეზე №ას-167-155-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

თუ სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ერთობლივად არ შეაფასა, მაშინ ირღვევა სსკ-ის 249-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა – გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ არის ასახული სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებები, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 17 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1003-964-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა წარმოადგენდეს ზუსტ პასუხს მოსარჩელის მოთხოვნაზე, ხოლო სამოტივაციო ნაწილში უნდა აისახოს შესაბამისი დასაბუთება, რა მოსაზრებებიდან გამომდინარე კმაყოფილდება ან არ კმაყოფილდება სარჩელი. სასამართლო შეზღუდულია მხარის მოთხოვნებითა და სარჩელის საფუძვლებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 26 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-524-498-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამოტივაციო ნაწილი წარმოადგენს გადაწყვეტილების იურიდიულ დასაბუთებას. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივ საფუძველს უნდა დაემყაროს მან მიუთითოს იმ მატერიალურსამართლებრივ ნორმებზე, რომლებითაც დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ფასდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 8 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1323-1343-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1363-1381-2011 31.01.12.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. „მოკლე დასაბუთება“ არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს სსკ-ის 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა;

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, შეიძლება, ისინი არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 17 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1367-1205-2010
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიური სუსგ №ას-1243-1093-2010 17.02.11; №ას-931-878-2010 15.03.11; №ას-77-67-2011 11.04.11; №ას-328-312-2011 30.05.11; №ას-339-323-2011 30.05.11; №ას-359-339-2011 30.05.11; №ას-447-422-2011 25.05.11; №ას-1360-1198-2010 25.05.11; №ას-2-2-2011 31.05.11; №ას-166-160-2011 06.06.11; №ას-228-213-2011 20.06.11; №ას-335-319-2011 06.06.11; №ას-452-427-2011 23.06.11; №ას-361-341-11 20.06.11; №ას-263-247-2011 06.06.11; №ას-726-781-2011 18.07.11.

გადაწყვეტილების აღსრულების გადაკადება

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლი

სასამართლომ შეიძლება მხარის მოთხოვნით გადაავადოს გადაწყვეტილების აღსრულება გონივრული ვადით, თუ საქმეში მოიპოვება შესაბამისი მტკიცებულებები მხარის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1162-1091-2012 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

გადაწყვეტილების ასლების მხარეებისთვის ჩაბარება;

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლი

სსკ-ის 259¹ მუხლის მეორე ნაწილი ეხება იმ პირებს, რომლებიც სასამართლოს მიერ გათავისუფლებული არიან სასამართლო ხარჯებისგან, ან დაპატიმრებულები არიან და არ ჰყავთ წარმომადგენელი. სხვა შემთხვევაში, მხარე ვალდებულია, სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს სასამართლოში გადაწყვეტილების ასლის ჩასაბარებლად, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-886-836-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

დამატებითი გადაწყვეტილება

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი

ზემდგომი სასამართლოები, სსკ-ის 261-ე მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობენ მაშინ, როდესაც შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გამოვლინდა ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა. ამგვარ ვითარებაში, სასამართლო დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმას, იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს დამატებითი გადაწყვეტილების ობიექტს, წყვეტს სწორედ 261-ე მუხლის მე-3 ან 3¹ ნაწილის შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-361-340-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

16. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლი

ახალი მტკიცებულებები ვერ გააქარწყლებს პრეიუდიციულ ფაქტებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 4 მაისის განმარტება საქმეზე №ას-144-137-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღნერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 2 ავისტოს განმარტება საქმეზე №ას-166-162-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს, არ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 13 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-827-791-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

17. საქმისწარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

სარჩელის განუხილველად დატოვება

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლი

თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი, მაგრამ მოსარჩელეს არა აქვს მითითებული ასეთი სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესი, სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ უნდა მიიღოს, ხოლო, თუ შეცდომით მიიღო, განუხილველად უნდა დატოვოს იგი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 19 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-914-876-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

18. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი

საქმის გარემოებათა დადგენა სასამართლოს ინიციატივით

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლი

სასამართლოს შეუძლია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება სადავო მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე, თუ ეს ხელს შეუწყობს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-204-191-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია რა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ, თავად განსაზღვრონ, აღძრან თუ არა დავა სასამართლოში, როგორ წარმართონ ან როგორ დაასრულონ იგი, ასევე თავად გადაწყვიტონ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი, მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა. აღნიშნულიდან განსხვავებით, საოჯახო დავების განხილვისას სასამართლო ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1213-1064-2010 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახოსამართლებრივ დავას, მიწვებული აქვს უფლება, სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ დასჯერდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თავისი ინიციატივით განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა (მტკიცების საგანი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-53-51-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე და 105-ე მუხლები

სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე №ას-218-205-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-476-450-2014 09.09.2015; №ას-888-838-2015, 14.03.2016; №ას-876-826-2015, 26.02.2016; №ას-912-862-2015, 11.03.2016.

19. საქმისწარმოება სააპელაციო სასამართლოში

გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლი

სააპელაციო სასამართლო არაა უფლებამოსილი, გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და გადაწყვეტილება შეცვალოს იმ ნაწილში, რომელიც მხარეებს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2014 წლის 30 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-363-345-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-602-570-2015, 20.11.2015.

თუ შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მითითებას ახალ ფაქტებსა თუ მტკიცებულებებზე, მაშინ სასამართლომ უნდა დაიცვას სსკ-ის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ასეთ შუამდგომლობას განიხილავს, როგორც პრეტენზიას პირველი ინსტანციის მიერ დაშვებული პროცესუალური დარღვევების თაობაზე, მაშინ სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსკ-ის 377-ე მუხლით და გამოიკვილოს, დაშვებული იყო თუ არა პირველი ინსტანციის მიერ პროცესუალური დარღვევები მტკიცებულებათა გამოთხოვაზე უარის თქმის საოქმოდ განჩინების გამოტანისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2014 წლის 20 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-788-748-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ახალი ფაქტები და მტკიცებულებები

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი

ახალი ფაქტების/მტკიცებულებების საქმეზე დაშვება შეფასების გონივრულ სტანდარტზეა დამოკიდებული და სასამართლო ამ საკითხს წყვეტს იმ გარემოების გამორიცხვით, რომ მხარეს მათი ქვემდგომ სასამართლოში წარდგენის ფაქტობრივი შესაძლებლობა არ გააჩნდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2015 წლის 14 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-865-823-2013
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს, გააჩნდა თუ არა მხარეს მათი წარუდგენლობის საპატიო მიზეზი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 12 მარტის განმარტება საქმეზე №ას-889-932-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

20. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

გადაწყვეტილების შეცვლის ფარგლები

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლი

სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1257-1197-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი

გონივრულ ვადაში საქმის განხილვისა და პროცესუალური ეკონომიის ინტერესებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს, რომ საქმე თავადვე განიხილოს და არ დააბრუნოს პირველ ინსტანციაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-209-196-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1234-1175-2014, 23.02.15; №ას-455-434-2015 24.06.2015; №ას-471-450-2015, 30.10.15.

სააპელაციო სასამართლომ საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნებისას უნდა გაითვალისწინოს პროცესუალური შესაძლებლობა: რა პროცესუალური გარემოებები მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნებაზე; ამ გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება და ხომ არ გამოიწვევს ეს საქმის უსაფუძვლო გაჭიანურებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-1118-1145-2011 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-497-470-2012 22.05.12 და №ას-657-618-2012 10.12.12.

საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოცაა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით,

მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 19 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-151-147-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1308-1234-2012 04.02.13 №ას-283-269-2013
07.06.13 და №ას-261-249-2013 27.05.13.

საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება ან ახალი გა-
დანყვეტილების მიღება არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდა-
ობას, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ქვემდგომი ინ-
სტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-
ტის 2016 წლის 16 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-973-922-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნა-
წილი

გადანყვეტილების სამართლებრივი დაუსაბუთებლობა არ შეიძლება, გახდეს პირ-
ველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების
საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2013 წლის 16 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-907-852-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სააპელაციო სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი

დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს მხოლოდ იმ შემთხვევა-
ში, თუ სასარჩელო მოთხოვნა იურიდიულად დასაბუთებულია. ამისათვის, სასამარ-
თლომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად მართე-
ბულად უნდა შეაფასოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 28 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1707-1691-2012
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება, გახდეს და-
უსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 28 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-26-26-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილი

სსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით აპელანტის მოთხოვნა შეიძლება, დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში აღმოცემული აპელანტის განმარტებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს. ამ შემთხვევაში, მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასება არ ხდება, თუმცა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლომ ყოველთვის უნდა შემოაწიოს ხომ არ არსებობს პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 6 მაისის განმარტება საქმეზე №ას-75-72-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლი

როდესაც პირი სადავოდ ხდის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, როგორც მისთვის მიუღებელსა და არაადაამაჯერებელს, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, დასაბუთებულად უნდა განუმარტოს აპელანტს, თუ რატომ, რომელ ფაქტებსა და ნორმებზე დაყრდნობით არ იზიარებს მის თითოეულ სააპელაციო პრეტენზიას. სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება იცვლება მათზე – გაზიარებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და მათ შეფასებაზე მითითებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 4 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-9-6-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-726-784-2011 18.07.2011.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა დაირღვეს სსკ-ით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, ეს შეფასებები და დასკვნები შეიძლება, არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე მითითებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2012 წლის 26 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1579-1578-2011
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-656-617-2012 14.05.12.

21. კასაცია

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი

საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით. სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-341-322-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-992-936-2015 21.02.2016, №ას-1174-1104-2015 და №ას-1015-958-2015 18.03.2016; №ას-274-258-2011 22.07.2011.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 მუხლის „ე1“ ქვეპუნქტი

სასამართლო გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მაისის განმარტება საქმეზე №ას-85-79-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-871-821-2015 05.02.2016; №ას-838-804-2016, 21.12.2016; №ას-823-789-2016, 26.12.2016; №ას-1100-1036-2015, 15.01.2016.

სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, როდესაც სასამართლო ისე უარყოფს მოსარჩელის მტკიცებას მხარეთა არანამდვილი ნების თაობაზე, რომ არ იკვლევს მოთხოვნის საფუძველად მითითებულ პრეტენზიებს, თუ რამდენად არსებითი იყო სადავო საკითხის მიმართ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-789-754-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტი
- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი

სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დადგენასა და შეფასებას საჭიროებდა ის ფაქტი, თუ ამხანაგობამ მოპასუხეს სადავო ფართები რომელი სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე გადასცა, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუკეთებია. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი არ გამხდარა ის საკითხიც, მოსარ-

ჩელისათვის, როგორც საცხოვრებელი ბინის მესაკუთრის მოპასუხის მიერ ჩანაცვლებით, ხომ არ წარმოეშვა ახალ მესაკუთრეს ის უფლებები (სარდაფზე მფლობელობის დადგენის მოთხოვნის უფლება), რაც წინამორბედ მოსარჩელეს ჰქონდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-800-765-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №1343-1381-2014 25.03.2016.

22. სააღსრულებო წარმოება

სააღსრულებო ფურცელი

– „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი

სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე, რომელშიც ასახულია აღსასრულებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. სააღსრულებო ბიუროს ფუნქცია კანონით მკაცრადაა განსაზღვრული და მან უნდა უზრუნველყოს აღსასრულებლად გადაცემული სასამართლო აქტით – სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული მოქმედებების ზუსტად, შესაბამისად აღსრულება. ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულება ამავე გადაწყვეტილებით კრედიტორად აღიარებული პირის ინტერესია და მისი უფლებების დაცვას ემსახურება. გადაწყვეტილების აღსრულება თავისი არსით სამართალწარმოების ეტაპია, ვინაიდან კრედიტორისათვის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მნიშვნელობა მხოლოდ მის აღსრულებაშია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1082-1014-2010 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

ყადაღის საბანი

– „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლი

ყადაღა შეიძლება, დაედოს მხოლოდ მოვალის კუთვნილ მოძრავ ქონებას. თუ ცდომილების შედეგად მესამე პირის ქონება მიჩნეულ იქნა მოვალის ქონებად (აღსრულების საგნად), მას უფლება აქვს, აღძრას სასამართლოში სარჩელი მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-26-24-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-204-197-2013 01.07.10; №ას-262-253-2012, 25.06.2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ტელ.: (995 32) 2 99 04 18
www.supremecourt.ge

The Supreme Court of Georgia
32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 2 99 04 18
www.supremecourt.ge